საქართველო რესპუბლიკა

გაზეთის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№125 (9805) 2024 წლის 1 ნოემბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი

მაჭყუარა

3

ოპოზიციას დიდი თავსატეხი აქვს — ბნელ ოთახში უნდა აღმოაჩინოს შავი კატა, რომელიც იქ არ არის!

სულიც ლექსმა დაფლითა...



7

სად გაგონილა, ნაადრევად, მტკიცებულებების გარეშე ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენება!

QUINCY INSTITUTE FOR RESPONSIBLE STATECRAFT

შალვა პაპუაშვილი:

ვერავინ გაექცევა ეუთო/ოდირის დასკვნას და ვერც იმ 1 120 000-მდე ამომრჩეველს, რომელმაც ხმამაღლა, მკაფიოდ დაუჭირა მხარი „ოცნების“ მიერ გატარებულ პოლიტიკას

2

დასავლეთს ჩვენი ხელისუფლების ჩამოშლის გეგმა ჩაეფუშა!

5

სევდა ღვთაებრივი მშვენიერებისა

9

„შანელის“ სახლის ქართული სახეები

შიგარუ იშიბა — ვინ არის იაპონიის ახალი პრემიერ-მინისტრი

8

„მაკკეინის ინსტიტუტის“ შვილების უზნეო ფართიფურთი

5

ილონ მასკი საკუთარ შვილებსა და მათ დედებს ერთ საოჯახო კომპლექსში დაასახლებს

12

შალვა პაპუაშვილი:

ვერავინ გაექცევა ეუთო/ოდირის დასკვნას და ვერც იმ 1 120 000-მდე ამომრჩეველს, რომელმაც ხმამაღლა, მკაფიოდ დაუჭირა მხარი „ოცნების“ მიერ გატარებულ პოლიტიკას

...როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ არის ასე ვთქვათ, ინსინუაციები გარკვეული ამ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც იკვებება მათ შორის, საგარეო განცხადებებით, ეს არის ჩვეულებრივი თავდასხმა ქართველ ამომრჩევლებზე იმისთვის, რომ წაართვან მათ არჩევანის უფლება. ვიღაცას არ მოეწონა ის არჩევანი, ქართველი ხალხის რაც არის, და აქ ორი არჩევანია, ან უნდა გადაგვასახლონ ქართველი ხალხი ახლა აქედან და დანიშნონ აქ ვინც მათ უნდათ, ან უნდა შეეგუონ ამ არჩევანს და ამ დილემაში არის ახლა ბევრი, როგორც ჩვენ ვაკვირდებით. მაგრამ კიდევ ერთხელ ქართველმა ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა და ამ არჩევანს უნდა მიჰყვნენ.

ბოლო პერიოდში ვხედავთ უკვე კომიკურ დონემდე დასული ბატონი თენგო (თევზაძე) და გუშინ ბატონი გრიგოლიც (გეგელია) ვნახეთ, რომელიც ტოპ ტვინებთან ერთად, ტოპ აიტი სპეციალისტებთან ერთად ტოპ ანალიზს აკეთებენ. ეს ხომ სირცხვილია უბრალოდ და ამ ხალხის იმედად არიან მათ შორის, ის უცხოელი აქტორები, რომლებიც ახლა აკეთებენ განცხადებებს, რომელიც მათ სხვა დროსაც გაუკეთებიათ. ასეთივე დაბრალება იყო სააკაშვილის საკითხზე.

გვახსოვს უცხოელი მინისტრებიც, პრეზიდენტების განცხადებები ხომ? ხომ აღმოჩნდა ტყუილი დაბრალება. აი, როგორც დღეს ვხედავთ, ხან სამი მინისტრი ერთად, ხან ცამეტი მინისტრი ერთად, ხან პრეზიდენტი და ხან ვინ და ხან ვინ რომ აკეთებს განცხადებას და აბრალებს საქართველოს და ქართველ ხალხს, რომ თითქოს აქ რაღაც წესების დარღვევა იყო. ზუსტად იგივე ხალხი, ზუსტად იგივე ევროპელები, ზუსტად იგივე დიპლომატები და ჩინოსნები გვაბრალებდნენ სააკაშვილის ტანჯვა-წამებას, რაც აღმოჩნდა ტყუილი და შემდეგ ბოდიშიც არ მოიხადეს, გვაბრალებდნენ სანქციების გვერდის ავლას, რაც აღმოჩნდა ტყუილი და შემდეგ ბოდიშიც არ მოიხადეს და ახლა გვაბრალებენ იმას, რასაც გვაბრალებენ, რაც ასევე დადასტურდება რომ ტყუილია. მაგრამ პრობლემა იცით რაშია? – პრობლემა იმაშია, რომ არც ბოდიშს არ მოიხდიან, ეს ყველაფერი რომ დადასტურდება და ამასობაში ჩვენ ნერვებს დაგვაწყვეტენ, ერთმანეთს გადაგვკიდებენ, რა როგორ მოხდება, კაცისშვილმა არ იცის, მერე ხელებს დაიბანენ, შემოგვხედავენ და წუხილს გამოთქვამენ, რომ საქართველოში არეულობა არის!!!

ასე რომ, თუ კი ვინმე თენგოს და ბატონი გეგელიას „ტოპ ტვინების „იმედად არის ამ ქვეყანაში თუ სხვა ქვეყანაში, ეს მათი დიდი შეცდომაა და ეს მათ არა ერთხელ დაუშვიათ, ზუსტად ევროპელ პოლიტიკოსებს, ჩინოსნებს, თუ დიპლომატებს არა ერთხელ დაუშვიათ ეს შეცდომა საქართველოს წინააღმდეგ და გავიგე ერთხელ შეგეშალა, ორჯერ, სამჯერ, ხუთჯერ, მაგრამ შვიდჯერ?! საღღაც ხომ უნდა გაჩერდნენ, ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველას აღიარონ ეუთო/ოდირის დასკვნა, ვერ გაექცევიან ვერც ამ დასკვნას და ვერ გაექცევიან იმ 1 120 000-მდე ამომრჩეველს, რომელმაც ხმამაღლა, მკაფიოდ დაუჭირა მხარი არა უბრალოდ „ქართულ ოცნებას“, არამედ „ქართული ოცნების“ მიერ გატარებულ პოლიტიკას და მომავალ გეგმებს, ასე რომ, ეს არის დემოკრატია და ყველა შეეგუოს და აღიაროს დემოკრატია.... განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

✦ ✦ ✦

ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის. კინო აღარ არის, ეს უკვე სერიალია, რომელსაც 2012 წლის შემდეგ ვხედავთ. ყოველ ჯერზე განცხადებები და ნული მტკიცებულება, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა ოვოზიციის და არასამთავრობოების მხრიდან არჩევნების გაყალბების შესახებ გაკეთებულ განცხადებებზე საუბრისას. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მსგავსი განცხადებები 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც კეთდებოდა.

„გაიხსენეთ 2018 წელი, პირადობის ყალბი მოწმობების სკანდალი. ჯერ გამოვარდებიან, იტყვიან, რომ რაღაც მოხდა ცუდი, გაყალბდა არჩევნები, ეს საკითხი უნდა გამოიძიოს. დაიწყება გამოძიება და მერე იმალებიან და არანაირ მტკიცებულებას არ წარადგენენ. ეს მეორდება ყოველ ჯერზე. სხვათა შორის, ქალბატონი სალომე ახლა რომ საუბრობს გაყალბებაზე, გაიხსენოს 2018 წელი. ახლა გვერდში ვინც უდგას იქ, შემთხვევით ზუსტად იგივე სახეები, ზუსტად იგივე სახელები, ზუსტად იგივე ბრალდებებს ხომ არ უყენებდნენ? ქალბატონი ეკა გიგაური, „საია“, სხვები – ზუსტად ქალბატონი ზურაბიშვილის არჩევნების წინ გამოვიდნენ და თქვეს, რომ დაბეჭდილია ყალბი პირადობის მოწმობები. თვითონაც ხომ ძალიან კარგად იცის იმ პირადის გამოცდილებიდან, დაიბეჭდა თუ არ დაიბეჭდა. ამიტომ, რა თქმა უნდა, არაფერი აქვთ.

ჩვენ ხომ ამაზე ვსაუბრობდით, რომ სინამდვილეში არავინ იღებს მონაწილეობას არჩევნებში. ამას ვხედავდით, იმიტომ რომ კამპანიაც არ ჰქონდათ. ტელევიზორებიდან ვერ გამოძვრნენ, სტუდიებიდან ვერ გამოვიდნენ. მთელი მათი საარჩევნო კამპანია იყო სტუდიური ჩაწერები და უცხოური განცხადებები, სხვა არაფერი. ახდა ყველა სცენარი – არა მხოლოდ ჩვენი, მაკკეინის ინსტიტუტის სცენარიც. საერთო ჯამში, ეს არის ქართველი ხალხისთვის საარჩევნო უფლების წართმევის მცდელობა მანამ, სანამ მათი გემოვნების ჯგუფი არ იქნება საქართველოს სათავეში, სანამ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ფილოსოფია არ დაბრუნდება სათავეში, როგორც ჩანს არ სურთ, რომ მოისვენონ“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

სავარაუდო დანაშაულის 47 ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს

წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების ფაქტებზე სისხლის სამართლის 47 საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, – ამის შესახებ განცხადებას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

„საზოგადოების ინფორმირების მიზნით, გვსურს განვაცხადოთ, რომ საქართველოს პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების ფაქტებზე, 47 სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, კერძოდ, არჩევნების გაყალბების, ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის, საარჩევნო ხმის ფარულობის დარღვევის, ამომრჩევლის მოსყიდვის, ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან წინასაარჩევნო აგიტაციისას ძალადობის და მუქარის, ნივთის დაზიანების და განადგურების კვალიფიკაციით.

გამოძიებების დაწყებას საფუძვლად დაედო ოპოზიციური და მმართველი პარტიების, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და არასამთავრობო ორგანიზაციების მომართვები, ასევე მედიით გავრცელებული ინფორმაციები.

საგამოძიებო უწყებებში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს საარჩევნო პროცესში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე ინფორმირებული და შემხებლობაში მყოფი პირების დაბარება და გამოკითხვა. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები, მიმდინარეობს ვიდეო მასალების შესწავლა და პირთა იდენტიფიცირება, ტარდება შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. აქვე, მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ მარნეულის 69-ე საარჩევნო უბანზე მომხდარ არჩევნების გაყალბების ფაქტზე დაკავებულია ორი პირი.

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევებში პირები, რომლებიც საჯაროდ აცხადებენ, რომ ფლობენ ინფორმაციას და მტკიცებულებებს არჩევნების პროცესში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებთან დაკავშირებით, ამ დრომდე არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან და უარს აცხადებენ შესაბამისი ინფორმაციის მოწოდებაზე, რაც აფერხებს გამოძიების პროცესს.

საქართველოს პროკურატურა მოუწოდებს მათ, დროულად გამოცხადდნენ საგამოძიებო სტრუქტურებში და ითანამშრომლონ, სწრაფი, ეფექტიანი და ობიექტური გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადება

გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აგრძელებს საბუთების მიღების ვადას 31 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით.

ევროკომისიის მიზანი მომაკვდინებელია საქართველოსთვის!

გაფართოების შესახებ ანგარიში: თუ საქართველო კურსს არ შეცვლის, ევროკომისია ვერ გასცემს რეკომენდაციას, განიხილონ მოლაპარაკებების დაწყება

ევროკომისიამ გაფართოების შესახებ ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, თუ საქართველო კურსს არ შეცვლის, ევროკომისია ვერ გასცემს რეკომენდაციას, განიხილონ მოლაპარაკებების დაწყება.

„ევროკავშირი რჩება ერთგული, კიდევ უფრო გააღრმაოს პარტნიორობა საქართველოსთან ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მისწრაფებების შესაბამისად. ვიდრე საქართველო ამჟამინდელ კურსს არ შეცვლის, რომელიც საფრთხეს უქმნის ევროკავშირისკენ სვლას და გამომამჟღავნებს რეალურ მცდელობებს განსაკუთრებული შეშფოთების და საკვანძო რეფორმების საპასუხოდ, კომისია ვერ შეძლებს, გასცეს რეკომენდაცია, განიხილონ საქართველოსთან ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყება“, – ნათქვამია ანგარიშში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „საქართველოს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი 2023 წლის დეკემბერში, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა გადადგამდა შესაბამის ნაბიჯებს, რასაც კომისიის მიერ 2023 წლის 8 ნოემბერს გაცემული რეკომენდაცია ითვალისწინებდა.

„2023 წლის დეკემბერში საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას არ მოჰყოლია ხელისუფლების სათანადო ძალისხმევა ქვეყნის ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე აუცილებელი რეფორმების განსახორციელებლად. პირიქით, მნიშვნელოვანმა ნეგატიურმა მოვლენებმა, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანების დაცვის“ საკანონმდებლო პაკეტის მიღებამ ისევე, როგორც ქართველი თანამდებობის პირების მკვეთრმა ევროკავშირის საწინააღმდეგო ნარატივებმა, დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ევროპულ ტრაექტორიას. შედეგად, საქართველოს ევროკავშირში შესვლის პროცესი დე ფაქტო შეჩერებულია“, – ნათქვამია ანგარიშში.

რაც შეეხება ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრულ 9 პრიორიტეტს, რომელთა შესრულებაც შემდეგ ეტაპზე გადასვლის, ანუ გაწევრების მოლაპარაკებების გახსნის წინაპირობა იყო, ევროკომისია აღნიშნავს, რომ 9 პრიორიტეტის შესრულების თვალსაზრისით საქართველოს "უმნიშვნელო პროგრესი" აქვს.

საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე დასაბრუნებლად ევროკომისია ქვეყნის ხელისუფლებას რამდენიმე პირობას უყენებს:

„საქართველო უნდა დაუბრუნდეს 9 პრიორიტეტის განხორციელებას.

საქართველომ უნდა გააუქმოს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი;

საქართველომ უნდა გააუქმოს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი.

საქართველომ თავი უნდა შეიკავოს სხვა ისეთი ქმედებებისგან, რაც ძირს უთხრის კანონის უზენაესობის და ფუნდამენტური უფლებების დაცვას.

საქართველომ ასევე უნდა განაახლოს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

საქართველოს თანხვედრა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან რჩება დაბალი. ევროკავშირის მიერ რუსეთის და ბელარუსის წინააღმდეგ შემოღებულ სანქციებთან არმიერთების მიუხედავად, საქართველომ ძალისხმევა გასწია სანქციებისთვის გვერდის ავლის აღსაკვეთად.

ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს დეზინფორმაციის გავრცელება ევროკავშირის ღირებულებების წინააღმდეგ და ამის ნაცვლად გააძლიეროს ქმედებები დეზინფორმაციასთან საბრძოლველად და მტრული პოლიტიკური რიტორიკის დასაძლევად.

ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მედიის, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების და აქტივისტების წინააღმდეგ თავდასხმები სათანადოდ იყოს გამოძიებული.

ხელისუფლებამ უნდა გადადგას ნაბიჯები ელიტური დონის კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხელისუფლებამ უნდა გადადგას ნაბიჯები ოლიგარქიული გავლენის აღმოსაფხვრელად.

ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, სამართალდამცავი უწყებების მუშაობაზე საკმარისი საჯარო და საპარლამენტო ზედამხედველობა, ასევე საჯარო ინსტიტუტების დამოუკიდებლობის გარანტია“.

ოპოზიციას დიდი თავსატეხი აქვს — ბნელ ოთახში უნდა აღმოაჩინოს შავი კატა, როგორც იქ არ არის!

არჩევნების არაღიარების შემდეგ ოპოზიცია საკუთარ ამომრჩეველს და დასავლეთს არწმუნებს იმაში, რომ არჩევნები გაყალბდა და ამის დამამტკიცებელი ფაქტები აქვთ. თუმცა ამ ეტაპზე ჯერ ვერცერთი კონკრეტული სერიოზული მტკიცებულებები ვერ წარადგინეს.

როგორც მმართველ გუნდში ამბობენ, საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ დეზინფორმაციულ შტურმი მიდის. ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორი და გარე აქტორები გაყალბების კამპანიის გამყარებას ფსევდომტკიცებულებებით უშედეგოდ ცდილობენ.

პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ბრიფინგზე დეტალურად ისაუბრა მათი ოპონენტების მხრიდან წარმოდგენილ ფოტო-ვიდეომასალაზეც: დისბალანსი ამომრჩეველთა რაოდენობასა და ოქმებთან მიმართებაში, მრავალჯერადი ხმის მიცემა, ქსენოფობიური განცხადებები, ზეწოლა და მოსყიდვა. პაპუაშვილი ამბობს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით ოპოზიციის ცრუ ბრალდებების მხილება მარტივია.

ბარიერგადალახული პარტიები კი, რომლებიც არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ, ამბობენ, რომ გაყალბების ფაქტებს აგროვებენ. ხელისუფლების ოპონენტები არჩევნებში მონაწილეთა ბაზის გასაჯაროებასაც ითხოვენ, რომელიც მათი თქმით, ამომრჩეველს საკუთარი ხმის გადამოწმების საშუალებას მისცემს. საარჩევნო კომისიამ პარტიების მოთხოვნას არარეალური უწოდა და განმარტა, რომ მსგავსი ბაზის შექმნა კანონით არის შეზღუდული, რადგან ის შეიცავს პერსონალური მონაცემების გამჟღავნების რისკებს.

ცესკოს საქმიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველს ვერ ხედავს მმართველი გუნდი. „ქართულ ოცნებაში“ ამბობენ, რომ ყველა შესაძლო დარღვევა ადგილობრივ დონეზე ობიექტურად იქნება გამოძიებული და მას ზედამხედველობას საერთაშორისო ორგანიზაციებიც გაუწევენ.

საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების მიღება ამ დრომდე გრძელდება.

ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიამ შუალედური ანგარიში სამი დღის წინ გაასაჯაროვა. ამომრჩევლების მოსყიდვა, დაშინება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, არათანაბარი გარემო მმართველი პარტიის სასარგებლოდ, ხმის ფარულობის დარღვევა და პოლარიზებული გარემო – ეს არასრული ჩამონათვალია იმ დარღვევების, რაზეც საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია ყურადღებას ამახვილებს. კრიტიკასთან ერთად, ანგარიშში დადებითად შეფასდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა და მთლიანობაში ითქვა, რომ არჩევნები კონკურენტული იყო. საერთაშორისო დამკვირვებლები იმედოვნებენ, რომ ახლად არჩეულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას გააგრძელებენ, გამოწვევების გადალახვა კი ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოებას.

„კრიტიკული აღიარება“ – ასე აფასებენ ეუთო/ოდირის ანგარიშს, სახელისუფლებო პარტიის ლიდერები. „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ დარღვევებზე საუბრის მიუხედავად, არც ერთი არ ყოფილა იმ მასშტაბის, რომ არჩევნების შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა.

ეუთო/ოდირი, ევროპის საბჭოსა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, ევროპარლამენტი – სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში საბოლოო დასკვნას რამდენიმე თვეში გამოაქვეყნებენ.

არჩევნებამდე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და ხელისუფლების ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ ელექტრონული სისტემით მანიპულაცია გამორიცხული იყო. ოპოზიციის კონკრეტული გამოსვლები შალვა პაპუაშვილმაც გაიხსენა და თქვა, რომ მათ პოზიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ შეცვალეს, რადგან მიზანი ქვეყანაში არეულობის მოწყობაა.

განცხადება, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე იხსენებს, სალომე ზურაბიშვილმა არჩევნებამდე 3 დღით ადრე ერთ-ერთ ტელეეთერში გააკეთა. ამტკიცებდა, რომ ელექტრონული სისტემა მოქალაქეების ხმების დაცულობას უზრუნველყოფს. შედეგების გამოცხადების შემდეგ კი პოზიცია რადიკალურად შეცვალა.

სახელისუფლებო გუნდი დარწმუნებულია, რომ ზურაბიშვილის და ოპოზიციის რიტორიკის ცვლილება, არჩევნებში დამარცხებამ გამოიწვია. „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა ოპონენტებს დღეს კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ ელექტრონული დანადგარი, რომელზეც ამერიკულმა კომპანიამ აუდიტი ჩაატარა, ნებისმიერ ხელოვნურ მანიპულაციას გამორიცხავს.

კახა კალაძის თქმით ოპოზიციის განცხადებებს ინახავს სატელევიზიო არქივი. ელექტრონული სისტემის უპირატესობაზე, საპარლამენტო არჩევნებამდე თითქმის მთელი ოპოზიციური სპექტრი საუბრობდა და მათ შორის იყვნენ ნიკა გვარამია და ალეკო ელისაშვილიც. დღეს კი ორივე კოალიციამ, რომელმაც გარიერიც გადალახა და საპარლამენტო მანდატებიც მოიპოვა, პოზიცია შეცვალა. მიზეზი, მათი თქმით, ხელოვნური მანიპულაციებია.

ოპოზიცია თუ გაყალბების მტკიცებულებებს ვერ წარადგენს, არავინ დაუჯერებთ.

✦ ✦ ✦

ანალიტიკოსი გია აბაშიძე for.ge-სთან ამბობს, რომ ოპოზიციის არგუმენტები გაყალბების შესახებ ანეკდოტების ჟანრში გადადის.

„თაღლითი ხაზარაძე და მისი პარტიის წევრი ანა ნაცვლიშვილი ამბობენ, რომ არსებობს რაღაცა ე.წ. შავი ყუთი და თუ ცესკო არ აღიარებს ე.წ. გაყალბების სქემას, ამ შავ ყუთს გახსნიან. წესით, განათლებული ქალბატონია და არაერთ ადგილას უმუშავია, ასეთ სიბრიყვეს რომ ამბობს, რა შეფასება შეიძლება მასზე გაკეთდეს?! ასევე კეზერაშვილის „ფორმულაზე“ ვუყურე, სადაც რომელიღაც დამკვირვებელი ამბობს, რომ სერიოზული დარღვევა აღმოაჩინა რომელიღაცა უბანზე. ყვება, რომ ერთ-ერთი ხელისუფლების წარმომადგენელი, დამკვირვებელი ქალბატონი შემოსულ ხალხს უღიმოდა და ეს არის კანონდარღვევაო. თურმე ეს ღიმილი იყო ამომრჩევლზე ზეწოლა. ასევე, მანამდე ვნახეთ საჩივარი, რომ დაიწერა, თურმე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი მიესალმა ამომრჩეველს, ესეც თურმე ე.წ. დარღვევაა. ეს ხალხი ისეთ აბსურდებზე საუბრობს, რომ მათი კომენტირება სერიოზულადაც კი ჭირს. ვერაფერი წესიერი და მყარი არგუმენტი გაყალბებაზე ვერ წარმოადგინეს. დემოკრატიულად გამჭვირვალედ არჩევნების ჩამტარებელ ცესკოს ამუნათებენ, მის თავმჯდომარეს თავს ესხმიან და სისხლის სამართლის დევნით ემუქრებიან. საბჭოთა პროკურორის სულისკვეთებით აღვსილი ნიკა გვარამია და მისი ამფსონები ასეთ დაბალ დონეზე არიან დაცემულები. თუ ეს ასე გაგრძელდა, იქნება მშვენიერი იმისთვის, რომ ეს ნაციონალები გაქრნენ საერთოდ პოლიტიკური სივრციდან და ნამდვილი რეალური ოპოზიცია გამოჩნდეს“, - ამბობს აბაშიძე.

რაც შეეხება „ისფედს“, რომელიც პარალელური დათვლის შედეგებს მალავს, აბაშიძე ვარაუდობს, რომ მას ამის საშუალებას დონორები არ აძლევენ, რადგან ქვეყანაში ჯერ პროტესტის მუხტს აკვირდებიან, თუმცა, ადრე თუ გვიან, მისი გამოქვეყნება მოუწევთ.

„ვხედავთ, დასავლეთში აზრი ორად არის გაყოფილი. ევროკავშირის 13 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების განცახდება გამოქვეყნდა და დანარჩენი 14-ის – არა. ყველა მაინც ქვეყანაში ხალხის რეაქციას ელოდება. იმავეს, როგორც ჩანს, აკვირდებიან „ისფედის“ დონორები, რომლებიც ამ ორგანიზაციას შედეგების გამოქვეყნებისგან თავის შეკავებას სთხოვენ. თუმცა, ადრე თუ გვიან, ყველას რეალობის აღიარება მოუწევს. ბოლო იმედი აქვთ, რომ ვითომ გაბრაზებული ხალხის საპროტესტო მუხტით რამეს მიაღწევენ“, – ამბობს აბაშიძე.

✦ ✦ ✦

ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე ფიქრობს, რომ ოპოზიციას თუ უნდა რეალურად ვინმე ამ არჩევნების გაყალბებაში დაარწმუნოს, სამი მიმართულებით უნდა იმუშაონ.



ძაბირაძე **for.ge**-სთან აცხადებს, რომ, თუ ოპოზიციას გაყალბების რეალური მტკიცებულებები არ ექნება, ის ვერც დასავლეთიდან და ვერც ქვეყნის შიგნიდან ხალხის მხარდაჭერას ვერ მიიღებს.

„ოპოზიციას ძალიან სერიოზული და დიდი სამუშაო აქვს. მათ ჯერ აუცილებლად მყარი მტკიცებულებები უნდა შეაგროვონ, რომ არჩევნები მართლა გაყალბდა. შემდეგ უნდა ჰქონდეთ კონკრეტული გეგმა, რომ ეს მტკიცებულებები წარუდგინონ დასავლეთს, რომელიც ჯერ კიდევ ელოდება სადამკვირვებლო მისიების საბოლოო დასკვნებს. ასევე უნდა შეძლონ საპროტესტო მუხტის შენარჩუნება. ქვეყნის შიგნით თუ ხალხის აყოლიება ვერ მოახერხეს და ვერც დასავლეთის დარწმუნება, რომ არჩევნები გაყალბდა, მაშინ დარჩებიან გარეთ და მათი პარლამენტში არშესვლას არ ექნება არანაირი აზრი. ან ისევ განმეორდება 2020 წლის სცენარი და ისინი იძულებულები გახდებიან, პარლამენტში შევიდნენ. რაც შეეხება პრეზიდენტს, მას არა აქვს არანაირი იურიდიული ბერკეტი იმის, რომ პარლამენტის ლეგიტიმურობა აღიაროს ან არა. მისი აღიარება და პარლამენტის მოწვევა მხოლოდ ფორმალურია და სამართლებრივად არ ნიშნავს არაფერს. 76 მანდატითაც კი მმართველ გუნდს 10 დღეში პარლამენტის მოწვევა შეუძლია და მისთვის ლეგიტიმაციის მიცემა. ამიტომ ოპოზიციას აქვს ბევრი სამუშაო ახალ წლამდე და ამისთვის მხოლოდ ცარიელი განცხადებები ვერ უშველით. მყარი მტკიცებულებები იქნება დამაჯერებელი, რომ არჩევნები გაყალბდა“, – ამბობს ძაბირაძე.

ლიკა ბერიკაშვილი

დავით ქართველიშვილი:

პროკურატურამ არჩევნების სავარაუდო გაყალბების საქმეზე გამოძიება დაიწყო



ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფეხქვეშ გათელვის პრაქტიკა ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება

„ხალხის ძალის“ წევრის დავით ქართველიშვილის განცხადებით, უკვე მერამდენედ აყენებენ საქართველოს მიზანმიმართულად უცხოური გავლენის აგენტები უმძიმეს რეპუტაციულ ზიანს ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირებისა და სახელმწიფო გადატრიალების მიზნით.

„ჩვენი პროგნოზი და ვარაუდი პროკურატურის დონეზეც თავის აღსრულების ფაზაში შევიდა. სალომე ზურაბიშვილისა და მისი „ქარტია-ფანების“ მიერ ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დემონსტრაციულად ფეხქვეშ გათელვის პრაქტიკა თავის ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება.

საქართველოს პროკურატურამ არჩევნების სავარაუდო გაყალბების საქმეზე გამოძიება დაიწყო და სალომე ზურაბიშვილი გამოკითხვაზე დაიბარა. სახეზეა უამრავი მტკიცებულება და მოწმეთა ბაზა – პოლონეთის პრეზიდენტის ჩათვლით, რომელმაც ვერც კი დამალა თავისი უკიდურესი გაოცება: როგორ შეიძლებოდა საკუთარი ქვეყნის არჩევნების „გაყალბების“ შესახებ არა თუ გადაუმოწმებელი ფაქტების, არამედ იმის აკვიატებული და ჯიუტი ინფორმაციის გაუღერება – რომ მას ეს მტკიცებულებები არ სჭირდება.

მერამდენედ და მიზანმიმართულად საქართველოს ეს უცხოური გავლენების აგენტები უმძიმეს რეპუტაციულ ზიანს აყენებენ შორსმიმავალი მიზნებით: ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება და სახელმწიფო გადატრიალება გამოიწვიონ. იმედია, საქართველოს ამ ეტაპზე ნაცსექტის სამი არსებული პრეზიდენტიდან – უკვე ორს მოუწევს დამსახურებული სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაზიარება“...

„ხობი 2 ჰესის“ სახით ექსპლუატაციაში შევიდა საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული ენერგეტიკული პროექტი

საქართველოს ენერგოსისტემას კიდევ ერთი ახალი ობიექტი შეემატა – ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მდებარე „ხობი 2 ჰესი“ 30 ოქტომბერს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად გახსნა.

„ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“ მიერ განხორციელებული პროექტი საკმაოდ მასშტაბურია – სადგურის დადგმული სიმძლავრე 44.5 მგვტ-ს, ხოლო ელენერგიის წლიური გამომუშავება დაახლოებით 200 მლნ კვტ სთ-ს შეადგენს. ამ პარამეტრებით „ხობი 2 ჰესი“ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აშენებული ჰესების პირველ ხუთეულში შედის. პროექტის პირველი ფაზის ინვესტიციის მოცულობა 250 მლნ ლარზე მეტს შეადგენს.

„დღეს მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული ენერგეტიკული პროექტი შევიდა ექსპლუატაციაში, 2012 წლიდან დღემდე კი საქართველოს ენერგოსისტემას 1150 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრე დაემატა, ეს დიდი მიღწევაა. 63 ახალი ჰიდროელექტროსადგურის პროექტი განხორციელდა, თუმცა, ამ მასშტაბის პროექტები ყოველდღე არ გვაქვს და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია – ჩვენი ენერგოსისტემისთვის, ენერგოდამოუკიდებლობისთვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი“, – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა ლევან დავითაშვილმა.

ჰესის გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეებმა – ნინო ენუქიძემ და გენადი არველაძემ, ადგილობრივი ხელისუფლების, ენერგეტიკის დარგის უწყებების და კერძო კომპანიების ხელმძღვანელმა პირებმა. სტუმრებმა ადგილზე დაათვალიერეს ჰესის ინფრასტრუქტურა და კომპანიის წარმომადგენლებისგან მისი მუშაობის შესახებ მიიღეს დეტალური ინფორმაცია.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობის ხედვაა, რომ არსებული ენერგორესურსები მაქსიმალურად იქნას ათვისებული. მან ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანას განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის მიღების მნიშვნელოვანი საშუალებები აქვს, პირველ რიგში, ჰესების მიმართულებით, რადგან ქვეყანას 26 ათასზე მეტი მთის მდინარე გააჩნია და საჭიროა ამ რესურსების ათვისება. ამასთან, ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, მთავრობა, კერძოდ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ამ კუთხით მომავალ წლებში აქტიურად იმუშავებს, ისევე, როგორც ქარისა და მზის ენერგიის გამოყენების მიმართულებით. ლევან დავითაშვილმა ასევე აქცენტი გააკეთა საქართველოს ენერგოსისტემის მეზობელ ქვეყნებთან და ევროპასთან დაკავშირებადობის და ამ კუთხით მიმდინარე სამუშაოების მნიშვნელობაზე.

„აბსოლუტურად რეალისტურია ჩვენი ამბიციური გეგმა – რომ შეგვიძლია არა მხოლოდ გავაორმაგოთ ჩვენი დადგმული სიმძლავრე, არამედ 10,000 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრე გვქონდეს. ეს სრულად უზრუნველყოფს ჩვენი ეკონომიკის სწრაფ განვითარებას, სრულად დაეხმარება ეკონომიკის ზრდის მაღალ ტემპებს და ასევე გვექნება ახალი, ენერგოტევადი დარგების განვითარების და ელექტროენერგიის ექსპორტზე გასვლის საშუალება. ამ კუთხით სამინისტრო აქტიურად მუშაობს, ასევე დაკავშირებადობის გაზრდაზე მეზობელ ქვეყნებთან – აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანი ფლაგმანი პროექტია – ევროკავშირთან პირდაპირ დაკავშირების შესაძლებლობა შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის მეშვეობით. ეს ყველაფერი საშუალებას მოგვცემს, რომ ჩვენი ენერგოსექტორი კიდევ უფრო მეტად მიმზიდველი იყოს ინვესტორებისთვის“, – აღნიშნა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

ასევე აქცენტი გაკეთდა ახალი ჰესის ეკონომიკურ-სოციალურ მნიშვნელობაზე რეგიონისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის, მათ შორის ინფრასტრუქტურული და იმ სოციალური პროექტების სახით, რომელთაც ინვესტორი კომპანია ახორციელებს. ჰესს ადგილობრივ ბიუჯეტში ყოველწლიურად 2,5 მლნ ლარი შეაქვს, მშენებლობის პროცესში დასაქმდა რამდენიმე ასეული ადამიანი, დღეისთვის კი 50-მდე ადგილობრივი მცხოვრებია დასაქმებული. ამასთან, კომპანიამ სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული პროექტების სახით უკვე დახარჯა 408, 000 ლარი, მათ შორის სოფელ მუხურის მოსახლეობას უშენებს და საჩუქრად გადასცემს თანამედროვე სპორტულ კომპლექსს.

ირაკლი კობახიძე:

ჩვენი ამოცანაა, 2028 წლისთვის დადგმულმა სიმძლავრემ შეადგინოს 8 000 მეგავატზე მეტი, 2030 წელს კი უნდა გადააჭარბოს 10 000 მეგავატს!

30 ოქტომბერს ქვეყნის პრემიერი „ხობი 2“ ჰესის გახსნაზე ჩხოროწყუში იმყოფებოდა.

ჩვენი ამოცანაა, 2028 წლისთვის დადგმულმა სიმძლავრემ შეადგინოს 8 000 მეგავატზე მეტი, საუბარია რესურსების გაორმაგებაზე. 2030 წელს უნდა გადააჭარბოს 10 000 მეგავატს და ამ მიმართულებით ყველანაირი საფუძველია შექმნილი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ეკონომიკის განვითარება არის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი და ამ მიმართულებით ენერგეტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. „ჩვენ წარვადგინეთ ჩვენი პროგრამა, რომლის მიხედვითაც 4 წელიწადში ჩვენი ეკონომიკა 40 მილიარდი ლარით უნდა გაიზარდოს. რაც შეეხება ენერგეტიკას, ამ მიმართულებით ჩვენ გასული 12 წლის განმავლობაში გვაქვს ძალიან დიდი პროგრესი, დადგმული სიმძლავრე იყო მხოლოდ 3 359 მეგავატი საქართველოში 2012 წლისთვის, უკვე არის გაზრდილი 4600-მდე, აქ გვაქვს 37 პროცენტამდე ზრდა. ჩვენი ამოცანაა 2028 წლისთვის დადგმულმა სიმძლავრემ შეადგინოს 8 000 მეგავატზე მეტი, საუბარია რესურსების გაორმაგებაზე. 2030 წელს უნდა გადააჭარბოს 10 000 მეგავატს და ამ მიმართულებით ყველანაირი საფუძველია შექმნილი“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისივე თქმით, „ხობი 2“ ჰესი ახლა შედის ექსპლუატაციაში, ის არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც წლების განმავლობაში ამ სფეროში განხორციელდა.

„ეს არის ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც აშენდა საქართველოში საბჭოთა პერიოდის შემდეგ. მადლობა კომპანიას, რომელმაც განახორციელა ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, მადლობა ეკონომიკის სამინისტროს, რომელიც წარმართავდა შესაბამის პროცესებს და მომავალშიც გვჭირდება ბევრი ასეთი პროექტი, რათა ხელი შევუწყოთ ეკონომიკის განვითარებას და კონკრეტულად ენერგეტიკის სფეროს განვითარებას. ჩვენ ასე გავაგრძელებთ და 2030 წლისთვის საქართველო ელექტროენერგეტიკის თვალსაზრისით გახდება უკვე სრულად თვითკმარი, დამოუკიდებელი ქვეყანა. უკვე ნაცვლად იმპორტიორისა, ჩვენ გავხდებით ელექტროენერგიის ექსპორტიორი ქვეყანა, რაც იქნება დიდი მიღწევა. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობის გაძლიერებასაც“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მთავრობამ უკანონოდ აშენებული სახლების დაკანონებისთვის დამატებითი კრიტერიუმები და გეოგრაფიული არეალები განსაზღვრა

მთავრობის დადგენილებით, დამტკიცდა ის გეოგრაფიული არეალები, სადაც ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 2023 წლის 1 დეკემბრამდე უნებართვოდ ან პროექტის დარღვევით აშენებული სახლების კანონიერად მიჩნევისთვის განისაზღვრა დამატებითი კრიტერიუმები.

კერძოდ, 17 ოქტომბრის დადგენილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებს შორისაა: შოვი, უწერა, ბაკურიანი, იყალთო, მცხეთა, მიტარბი, სტეფანწმინდა, სურამი, თუშეთი, წყალტუბო, ბახმარო, ურეკი, ველისციხე, აბასთუმანი, ლემარდე, მალთაყვა, მრავალძალი, ნიკორწმინდა, შაორი, ჭრებალო, ზუგდიდი და სხვა.

„ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ გეოგრაფიულ არეალებში ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 2023 წლის 1 დეკემბრამდე უნებართვოდ ან პროექტის დარღვევით აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (დამხმარე შენობა-ნაგებობით, მისი არსებობის შემთხვევაში) ლეგალიზებას არ საჭიროებს და კანონიერად მიიჩნევა, თუ იგი აკმაყოფილებს კოდექსის 141 (8) მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით დადასტურდება მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების თავსებადობა სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმებით ან/და მათი კონცეფციებით განსაზღვრულ შესაბამის სივრცით კატეგორიასთან ან/და ფუნქციურ ზონასთან.

ეს პუნქტი არ ვრცელდება იმ შენობა-ნაგებობაზე, რომელიც ექცევა ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ იმ გეოგრაფიულ არეალებში (სოფლები, დასახლებები და ა. შ.), რომელთაც მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ასევე საქართველოში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (მათ შორის, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის) ტერიტორიასა და მისი დამცავი ზონის ფარგლებში“, – წერია დადგენილებაში.

ამასთან, დადგენილების მიხედვით, იმ გეოგრაფიულ არეალებში, რომელთაც მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი კანონიერად მიიჩნევა სამშენებლო დოკუმენტაციის ან შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

გარდა ამისა, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა), ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 2023 წლის 1 დეკემბრამდე უნებართვოდ ან პროექტის დარღვევით აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის კანონიერად მიჩნევისთვის, საჭიროა აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული, ობიექტის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის დამადასტურებელი საექსპერტო დასკვნა. ამგვარი დასკვნა I კლასის შენობა-ნაგებობებთან მიმართებით არ მოითხოვება.

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და ის ვრცელდება 2024 წლის 26 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

დასავლეთს ჩვენი ხელისუფლების ჩამოშლის გეგმა ჩაეშალა!

საქართველოში 26 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები მმართველი პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გამარჯვებით დასრულდა. შედეგი მართლაც მოულოდნელი იყო ხელისუფლებისთვის, ოპოზიციისთვის და დასავლეთისთვისაც კი. ქართველმა ხალხმა ხმა მისცა ქვეყნის პროგრამას, სტაბილურობასა და მშვიდობას.

თუმცა, შედეგები გააპროტესტეს ოპოზიციურმა პარტიებმა, განსაკუთრებით პროდასავლურმა ძალებმა. ეს ნაცნობი სცენარია როგორც პოსტსაბჭოთა სივრცისთვის, ასევე „არაბული გაზაფხულის“ გამოცდილების მქონე ქვეყნებისთვის. ისევ დაიწყო მოწოდებები რევოლუციისა და დაპირისპირებისკენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ საქართველოს მოსახლეობა უკვე იგნორირებას უკეთებს „მაიდნის“ მოძრაობებს და რევოლუციებს.

დასავლეთის მორიგი სამიზნე — „ფერადი რევოლუცია“ საქართველოში

ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არჩევნებში მიღებული შედეგებით ქართველმა ხალხმა სოლიდური პასუხი გასცა საქართველოს მიმართ განხორციელებულ დიდ უსამართლობას, საგარეო ძალების ჩარევას ქვეყნის საშინაო საქმეებში, შანტაჟს, მუქარას, მედიაში ჩადებულ უცხოურ ფულს, აგენტურულ ქსელებს და ა.შ. ქართველმა ხალხმა თავისი ღირსეული პოზიცია გამოიჩინა. გავლენიანი ექსპერტებიც აცხადებენ, რომ ამ გამარჯვებით დამარცხდა არა მხოლოდ ოპოზიცია, არამედ ის მტრებიც, რომლებსაც საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა სურდათ.

ოპოზიცია უგულებელყოფს საზოგადოებრივ აზრს და არ აღიარებს შედეგებს. ეჭვგარეშეა, რომ ამას აკეთებს არა თვითნებურად, არამედ დასავლეთიდან მიღებული გეგმებისა და ამოცანების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი პროტესტი არ ექნებოდათ. როგორც მოსალოდნელი იყო, ანტისამთავრობო ძალებს სათავეში პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ჩაუდგა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის პირველი სხდომა არჩევნების დასრულებიდან ათი დღის ვადაში უნდა გაიმართოს და ეს სხდომა ქვეყნის პრეზიდენტმა უნდა გამოაცხადოს. თუმცა, პრეზიდენტმა ოპოზიციის ლიდერებთან ერთობლივ ბრიფინგზე განცხადება გააკეთა და განაცხადა, რომ არ ცნობს არჩევნების შედეგებს.

სანაცვლოდ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ თუ პრეზიდენტი დაარღვევს კონსტიტუციას, მაშინ ათი დღის შემდეგ პარლამენტი პირველ სხდომას გამართავს. ეს არის წერტილი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანაში სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის დარღვევა.

სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს, ხელისუფლებას მორიგი „ფერადი რევოლუციით“ დაემუქრა. „ჩვენ გავხდით რუსული სპეცოპერაციის მსხვერპლი“, – განაცხადა მან 27 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.

საინტერესოა, რომ პრეზიდენტს მისი ნათქვამის გასამართლებლად არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. „მე არ ვაღიარებ ამ არჩევნების შედეგებს“, – განაცხადა პრეზიდენტმა და ხალხს პროტესტისკენ მოუწოდა. ამის შემდეგ ეუთოსა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო მისიებმაც გამოაცხადეს პირველადი შეფასება საქართველოში საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. საპარლამენტო არჩევნების ღრმა პოლარიზაციამ, ბოლო დროს მიღებულმა კანონებმა და მათმა ზეგავლენამ ძირითად თავისუფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე კენჭისყრის პროცესი დაჩრდილა, ნათქვამია მისიის განცხადებაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ არის ფართომასშტაბიანი სიახლეები საარჩევნო კამპანიის შესახებ, რომელიც მოიცავს გამყოფ რიტორიკას და ამომრჩევლებზე ზეწოლას.

ვითარების ესკალაციას ცდილობს ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი პასკალ ალიზარი. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები კარგად იყო ორგანიზებული, მათ შენიშნეს მთელი რიგი ხარვეზები.

არჩევნების წინასწარი შეფასებით გააკრიტიკეს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა (**IRI**) და აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (**NDI**) ერთობლივმა სადამკვირვებლო მისიებმაც. **IRI**-ს პრეზიდენტმა დენ ტვინინგმა თქვა, რომ მთავრობამ შეზღუდა პოლიტიკური კონკურენცია არჩევნების წინ უპრეცედენტო პოლიტიკური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ცვლილებებით.

ხელისუფლება სერიოზულად ემზადება ამ მესიჯებისთვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალი რევოლუციის გეგმის უკან პრეზიდენტი დგას. პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმაც განაცხადა რომ ეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე ქალბატონი ქვეყანაში გადატრიალებისთვის ემზადება. მანამდე პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ წესდებას ხელი მოაწერეს მთავარმა ოპოზიციურმა პარტიებმა. დოკუმენტის მიხედვით, ისინი შექმნიან ტექნიკურ მთავრობას, თუკი მმართველი პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ მეტ ხმას მიიღებს.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ასევე განაცხადა, რომ ხელისუფლება დაიცავს ამ არჩევნებს და არ დაუშვებს კონსტიტუციური სტრუქტურის დარღვევას. მეორდება ყველაფერი, რაც ადრე მოხდა. „ოპოზიცია არ აღიარებს არჩევნებში დამარცხებას და ეწინააღმდეგება ქვეყანაში არსებულ კონსტიტუციურ სტრუქტურას. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სახელმწიფო თავის ადგილზეა და კონსტიტუციურ სტრუქტურას ვერავინ დაარღვევს“, – განაცხადა მან.

აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო არჩევნები საქართველოში 26 ოქტომბერს გაიმართა. ცესკოს ბოლო ინფორმაციით, არჩევნებში გაიმარჯვა მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“, რომელმაც ამომრჩეველთა 54,08%-ის მხარდაჭერა მოიპოვა.

ამრიგად, ოპოზიცია ემზადება ახალი რევოლუციური მცდელობისთვის. ამას ადასტურებს ევროკავშირისა და შეერთებული შტატების გაზრდილი ყურადღება საქართველოში არჩევნებისადმი. კერძოდ, ვრცელდება ინფორმაცია აშშ-ის მიერ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევის მცდელობის შესახებ და ვრცელდება ინფორმაცია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ეძებს ახალ მეთოდებს, რათა გავლენა მოახდინოს საქართველოს არჩევნებზე.

სხვა საკითხია, რომ მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების შედეგი საქართველოს შიდა საქმეა, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პოზიცია, გარკვეული უცხოური წრეები მას გადამწყვეტად მიიჩნევენ რეგიონში მისი საფუძვლების შენარჩუნების თვალსაზრისით. საქართველოს ხელისუფლება დიდი ხანია აცხადებს, რომ დასავლეთის მიერ დაფინანსებული ზოგიერთი ჯგუფი თბილისში არეულობას გეგმავს და ძალადობით ძალაუფლების ხელში ჩაგდებას აპირებს.

დასავლეთი ცდილობს, ხელისუფლებაში მოიყვანოს ის ჯგუფები, რომლებიც უფრო მეტად ემორჩილებიან და ემსახურებიან საქართველოში უცხოური წრეების ინტერესების გატარებას. ამ მიზნით ის მილიონებს აძლევს არასამთავრობო ორგანიზაციებს უკანონო გზებით, ხოლო ხელისუფლებამ კანონი „გარე გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მიიღო, რომელიც სწორედ ამ არაგამჭვირვალე ფინანსურ ნაკადს აკონტროლებს. ის მიზნად ისახავს რადიკალური ჯგუფების დაფინანსების აღკვეთას და ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას. ამ კანონის მთავარი მოთხოვნა, რომელიც არანაირ შეზღუდვას არ აწესებს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე, არის ის, რომ არაკომერციულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ გამჭვირვალობა ქვეყნის საზღვრებს გარედან მიღებულ თანხებთან მიმართებაში, დაიანგარიშონ და განაცხადონ თავიანთი შემოსავალი.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის გეგმა ჩაიშალა. ეს არჩევნების შედეგებმაც დაადასტურა. მაგრამ დასავლეთი უკან დაიხევს? სავარაუდოა, რომ ჩვენ ამას ნათლად დავინახავთ უახლოეს მომავალში.

Report.az-დან თარგმნა
ქეთი გიორგაძემ

„მაკკეინის ინსტიტუტის“ შვილების უზნეო ფართიფურთი

„საზოგადოება ქართული“: ის, რომ ISFED-ის ხელმძღვანელები თავს იკავებენ შედეგების გასაჯაროებისგან აბსურდული მოტივით, არის კიდევ ერთი არგუმენტი, რომ ისინი არ არიან დამოუკიდებლები თავიანთ გადაწყვეტილებებში და იმართებიან გარედან, – ამის შესახებ „საზოგადოება ქართულის“ განცხადებაშია ნათქვამი.

ის, რომ ISFED-ის ხელმძღვანელები თავს იკავებენ შედეგების გასაჯაროებისგან აბსურდული მოტივით, არის კიდევ ერთი არგუმენტი, რომ ისინი არ არიან დამოუკიდებლები თავიანთ გადაწყვეტილებებში და იმართებიან გარედან, – ამის შესახებ „საზოგადოება ქართულის“ განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადებაში მოყვანილია „მაკკეინის ინსტიტუტის“ ანგარიში, სადაც „გაწერილი იყო ის ფაქტი, რომ თუ ცესკო „ქართულ ოცნებას“ გამარჯვებულად დაასახელებდა, ვის უნდა გამოეცხადებინა არჩევნები არალეგიტიმურად და რა უნდა ყოფილიყო ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა“.

„მაკკეინის ინსტიტუტის“ ანგარიშში ასევე იყო გაწერილი, თუ ცესკო „ქართულ ოცნებას“ გამარჯვებულად დაასახელებდა, ვის უნდა გამოეცხადებინა არჩევნები არალეგიტიმურად და რა უნდა ყოფილიყო ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა. ანგარიშში აღნიშნული იყო: „ცესკო „ქართულ ოცნებას“ გამარჯვებულად თუ გამოაცხადებს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ სადამკვირვებლო ჯგუფებს მნიშვნელოვნად შეუშალეს ხელი, ან ისინი განაცხადებენ სერიოზული დარღვევების შესახებ, რაც შედეგებს არასანდოს გახდის, საერთაშორისო ზეწოლა გადამწყვეტი იქნება საჩივრების განხილვის, აუდიტის, ხმების გადათვლისა და, საჭიროების შემთხვევაში, ახალი არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად“. შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა, სადამკვირვებლო ორგანიზაციების კოალიცია „ჩემი ხმა“ (ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია, ბაია პატარაია და ა.შ) იყო. ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა კი უკვე გაისმა 28 ოქტომბერს, სალომე ზურაბიშვილისა და ოპოზიციის ერთობლივ აქციაზე. „მაკკეინის ინსტიტუტის“ დოკუმენტში წინასწარ იყო გაწერილი ის სცენარიც, რა ნაბიჯები უნდა გადაედგათ, თუ „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ავტორიტეტული სადამკვირვებლო ორგანიზაციები აღიარებდნენ. საპროტესტო აქციები ამ შემთხვევაშიც დაიგეგმებოდა. ანგარიშში ეწერა: „ქართული ოცნება“ თუ გაიმარჯვებს დამკვირვებლების დადასტურებით, მაშინ საერთაშორისო საზოგადოებას მოუწევს არჩევნების შემდგომი გარემოს მონიტორინგი, განსაკუთრებით კი, მთავრობის რეაქციის მოსალოდნელ პროტესტზე.“ მართლაც, პროტესტის ორგანიზატორები ან აგდებულად მოიხსენიებენ იგივე ეუთო/ოდირისა და სხვა საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნებს, ან საერთოდ იგნორირებას უკეთებენ მას.

სამწუხაროდ, „მაკკეინის ინსტიტუტის“ ანგარიშში არის სხვა ეპიზოდებიც. მაგალითად, საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შეწყვეტა, რომელსაც ლობირებენ ქართული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კოლექტიური ოპოზიციის, სალომე ზურაბიშვილის, ე.წ. არასამთავრობოებისა და მათი პატრონების შემდეგი ნაბიჯები ზემოხსენებული სცენარის რეალიზების მცდელობა იქნება. მსგავსი მოწოდებები უკვე გაისმა სალომე ზურაბიშვილისა და ოპოზიციის არაფორმალური მრჩევლის გია ხუხაშვილის მხრიდან“...

თსუ დოქტორანტების წარმატება

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების საგრანტო კონკურსში დედაუნივერსიტეტის დოქტორანტები ლიდერობენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების საგრანტო კონკურსში ტრადიციულად ლიდერობენ. 2024 წლის კონკურსში გამარჯვებული 39 პროექტიდან 17 პროექტი (გამარჯვებული პროექტების 43.6%) თსუ დოქტორანტებს ეკუთვნით.

კონკურსის მიზანია, ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევრების გამოვლენა და მათი სადოქტორო კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში განხორციელების ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა, დოქტორანტებისა და უცხოეთში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ამ გზით საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტების დაფინანსების კონკურსში პროექტები წარდგენილი იყო ყველა სამეცნიერო მიმართულებაში: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები, აგრარული მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერა მოიცავს: ა) სტიპენდიას, ბ) სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების ან/და საველე სამუშაოების ხარჯს, გ) პროექტის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, კონგრესი, ვორქშოფი, სემინარი და სხვა) მონაწილეობის ხარჯს, დ) დისერტაციის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯებს და ე) სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის საჭირო სხვა ხარჯებს – მაგალითად: დოქტორანტურაში სწავლის საფასურს, ბეჭდური/ელექტრონული ლიტერატურის და კომპიუტერული პროგრამის შეძენის ხარჯს, პუბლიკაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარჯს და სხვ.

ფონდის პირობების თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის სახით გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა ასეთი სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის რეიტინგული ჟურნალები, კრებულები და წიგნები, რომლებიც ინდექსირებულია **Scimago Journal Ranking** რეიტინგში ან/და **Elsevier (Scopus** და **ScienceDirect), Web of Science, ERIH** პლუს გაზეთში.

ჯაბა სამუშიამ ღვაწლმოსილ თანამშრომლებს საუნივერსიტეტო მედლები გადასცა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ლაშა საღინაძესთან ერთად უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი თანამშრომლები მედლით დაჯილდოვა, მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციით, პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ასაკობრივ საპენსიო ასაკს მიღწეული უნივერსიტეტის იმ ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა, რომელმაც ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე უნივერსიტეტიდან წასვლა გადაწყვიტა, უნივერსიტეტისგან ჯილდოს სახით ფულადი კომპენსაციაც მიიღო.

მათივე ცნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის თანამშრომლებს, რომელთაც მრავალწლიანი საქმიანობით მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის განვითარებასა და მისი ახალი ისტორიის შექმნაში.

„გვინდა ჩვენი ღვაწლმოსილი თანამშრომლები დავაჯილდოოთ და ქედი მოვიხაროთ მათი შრომის წინაშე. ისინი კვლავინდებურად იქნებიან იმ დიდი ოჯახის წევრები, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია. უნივერსიტეტელობა არის ის ტვირთიც და ჯილდოც, რომელსაც ვერავინ ჩამოგვართმევს. თითოეული თქვენგანის მიმართ გამოვხატავ ჩემს ღრმა პატივისცემას. სწორედ თქვენ ხართ იმ ლამაზი გარემოს შემქმნელები, სადაც სტუდენტებს უხარიათ ყოფნა და ამისთვის დიდი მადლობა“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

„თქვენი რჩევა-დარიგება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენთვის. მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადაგიხადოთ, რომ ათეულობით წელი მოღვაწეობდით უნივერსიტეტის განვითარებისთვის, უამრავი ახალგაზრდა აღზარდეთ უნივერსიტეტში. ეს ჯილდო, რომელიც უნივერსიტეტმა გაიღო, არის მინიმალური, რაც შეგვეძლო გაგვეკეთებინა თქვენი ღვაწლის დაფასებისთვის“, – აღნიშნა თსუ-ის კანცლერმა ლაშა საღინაძემ.

ნორვეგიაში 15 წლამდე ბავშვებს სოცქსელებით სარგებლობას აუკრძალავენ

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა იონას გარ სტორემ განაცხადა, რომ მთავრობა 15 წლამდე ბავშვებს სოციალური ქსელებით სარგებლობას აუკრძალავს.

საუბარია იმ მოქმედ კანონში ცვლილებების შეტანაზე, რომელიც სოცქსელებზე წვდომას 13 წლამდე ბავშვებისთვის ზღუდავს. ამასთან, იგეგმება ცვლილების მიღება, რომელიც პერსონალური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებისას სოციალურ ქსელებს მომხმარებლის ასაკის შემოწმებას დაავალდებულებს.

ნორვეგიის პრემიერმა განაცხადა, რომ ეს არ იქნება „იოლი ბრძოლა, მაგრამ ბავშვები სოციალურ ქსელებში განთავსებული მავნე კონტენტისგან დაცულები უნდა იყვნენ“. სტორემ დასძინა, რომ მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიები „პატარა ბავშვების ტვინების წინააღმდეგ“ არიან განწყობილები.

აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე პრემიერმა მშობლების ჯგუფთან შეხვედრისას ისაუბრა, რომლებიც სოციალური ქსელებით სარგებლობის აკრძალვას 16 წლამდე ბავშვებისთვის ითხოვენ. ამისთვის მათ სპეციალური პეტიციაც კი შექმნეს, რომელსაც 11 ათასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი.

მანამდე არასრულწლოვანების ნაწილისთვის სოციალური ქსელებით სარგებლობის აკრძალვის გეგმის შესახებ ავსტრალიის მთავრობაშიც განაცხადეს.

Kingston Technology-ს მასტერკლასი სტუ-ს სტუდენტებისთვის

სტუ-ის ცნობით, მასტერკლასს, რომელიც უნივერსიტეტის ჟიული შარტავას სახელობის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სასწავლო-კვლევით ლაბორატორიაში გაიმართა, სტუდენტებთან ერთად, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თალიკო ჟვანია, დეკანის მოადგილე, პროფესორი ლილი პეტრიაშვილი, ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარიამ ჩხაიძე და ლაბორატორიული კომპლექსის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ფაკულტეტის დეკანის, თალიკო ჟვანიას შეფასებით, **Kingston Technology**-ის მასტერკლასი სტუდენტებისთვის მრავალმხრივ საინტერესო და ინფორმაციული იყო.

„ცნობილი ამერიკული კორპორაცია **Kingston Technology** ერთ-ერთია საერთაშორისო ბაზარზე, რომელიც აწარმოებს და ავითარებს კომპიუტერულ მეხსიერებათა ინოვაციურ პროდუქტებს. მასტერკლასი მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი სტუდენტებისთვის. ახალგაზრდებმა **Kingston Technology**-ის წარმომადგენლებისგან მიიღეს აქტუალური ინფორმაცია კომპიუტერული მოწყობილობების და ფლეშ მეხსიერების, მათი ტიპებისა და გამოყენების საჭიროებების თაობაზე, შეიტყვეს საინტერესო ფაქტები ოპერატიული მეხსიერების განვითარების ისტორიიდან. ისინი უშუალოდ ჩაერთნენ კომპიუტერული მოწყობილობების გაძლიერების და მეხსიერებით აღჭურვის პრაქტიკულ პროცესში. აღსანიშნავია, რომ, მასტერკლასის ფარგლებში, **Kingston**-მა ფაკულტეტს საჩუქრად გადასცა ოპერატიული და სწრაფი **SSD** მეხსიერებები, რომელთა მეშვეობით რამდენიმე სასწავლო კომპიუტერი გაძლიერდა“, – აღნიშნა თალიკო ჟვანიამ.

სტუ-ის ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მარიამ ჩხაიძის თქმით, მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანია როგორც სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გასავითარებლად, ასევე ინდუსტრიებსა და უნივერსიტეტს შორის კოლაბორაციის გასააქტიურებლად.

სტუ-ის ინფორმაციით, მასტერკლასის ფარგლებში, **Kingston Technology**-ის წარმომადგენლებმა სტუდენტებისთვის სახალისო პრიზებიც გაათამაშეს, ღონისძიების დასასრულს კი, ახალგაზრდების თანხლებით, სტუ-ის ჟიული შარტავას სახელობის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიული კომპლექსი და ელექტრონიკის მუზეუმი დაათვალიერეს.

„ჟვანიას სკოლის“ საერთაშორისო წარმატება

ინოვაციური საჯარო პოლიტიკის შემუშავება და საქართველოში დანერგვა DISPA-ს მხარდაჭერით

23-25 ოქტომბერს „ჟვანიას სკოლის“ დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ბუდაპეშტში გამართულ „საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტებისა და სკოლების დირექტორების ქსელის (DISPA)“ წლიურ სხდომაში. შეხვედრის მთავარი თემა იყო „ხელოვნური ინტელექტი: საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარებისას წარმოქმნილი გამოწვევები.“

საქმიანი ვიზიტის ფარგლებში, უნგრეთის საჯარო მმართველობის ლუდოვიკის უნივერსიტეტის რექტორმა, დოქტორმა გერგელი დელისმა „ჟვანიას სკოლის“ დირექტორს უმასპინძლა.

ქეთევან ჯაფელი ასევე შეხვდა ვარშავის ლეხ კაჩინსკის სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების ეროვნული სკოლის (**KSAP**) დირექტორს მალგოჟატა ბივანის იოდინსკს.

მხარეებმა ერთობლივი სასწავლო პროგრამების განხორციელების პერსპექტივა განიხილეს. ჟვანიას სკოლის საერთაშორისო პარტნიორობა ხელს შეუწყობს ინოვაციური საჯარო პოლიტიკის შემუშავებასა და საქართველოში დანერგვას.

ვარშავის ლეხ კაჩინსკის სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების ეროვნული სკოლის **KSAP** დირექტორმა მალგოჟატა ბივანის იოდინსკამ უნგრელი კოლეგისგან მიიღო ესტაფეტა. **KSAP** დირექტორმა მიიწვია ქართველი კოლეგა და გამოსვლისას განაცხადა, რომ ვარშავის სხდომაზე სპეციალური სესია გაიმართება საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობით.

2025 წლის აპრილში, სხდომა ვარშავაში, **DISPA**-ს ამ დროისთვის ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაში გაიმართება.

სულიც ლექსმა დაფლითა...

ოთარ მამფორია — 100

როცა ლექსს ვწერ

როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ მინდია,
საქართველო ჩირაღდანად მინთია.
შავი ზღვიდან მოვარდნილი ქარი ვარ,
ქოხის ბუხრის მუხის ნაკვერჩხალი ვარ
და ამ მიწას ვეტრფი, როგორც მინდია.

როცა ლექსს ვწერ, წვიმს თუ
თოვლის ფიფქია,
საქართველო კელაპტარად მინთია!
დაცვარული ლოდები ვარ ვარძიის,
გელათიდან აფრენილი არწივი,
წინაპრების საფლავების მკოცნელი,
ვაზის ჯვართან დამხობილი მლოცველი
და ზედაშით ავსებული ბარძიმი.

რუსთაველის შაირი ვარ ართქმული,
მახვილივით მტერზე წამომართული.
დარიალზე მოხვეული ნისლი ვარ,
ივერიის ჭრილობების სისხლი ვარ,
და ცრემლებით გაბზარული ჩანგური.
და კრწანისთან გაკვესილი ფრანგული.

როცა ლექსს ვწერ, ვკოცნი მუზის იალქნებს,
საქართველო მაღლა ღმერთთან მიმაფრენს.
თეთრი მტრედის აფეთქილი გული ვარ,
მარტო ლექსი, მარტო სიყვარული ვარ.
ჯერ ცა ვარ და მერე ალბათ მიწა ვარ,
ხნოვანებით ამ სტრიქონის ხნისა ვარ...
თუმცა წლები რაბებივით გარბიან.

როცა ლექსს ვწერ, მზე არი თუ მთვარეა,
საქართველოს გვედრი, წმინდა მარიამ!

ყაყაჩო

დღისით შენს ბაღში ვღიღინებ,
ღამით ყვავილებს ვდარაჯობ,
პირველად შენ გამიღიმე
და მერე შენმა ყაყაჩომ.

მთვარის ნათელზე ვიხილე
მწველი თვალები მებაღის,
ახლა კი ბაღი იღვიძებს
და იზმორება ვენახი.

ყაყაჩო მაგ შენი ბაღის,
გიშრის წამწამა ყაყაჩო,
მე ყოველ ღამით მეძახის,
როცა შენს ფანჯრებს ვდარაჯობ.

ვფიცავ ამ მიწის დიდებას,
მარჯვენა გვიჭრის ვაუკაცებს,
მე ხმლით ავკაფავ მტრის რისხვას
შენი თვალების კაშკაშზე.

შენ ყვავილები ახარე,
ვარდების მოვლას სხვა რა სჯობს,
და გულზე გადამაყარე
მაგ შენი ბაღის ყაყაჩო!

გაყიდული ქაღლი

წლები ტანჯვის და წარღვნის
სასოწარკვეთით რეკდა,
ძაღლის ბაზარზე ძაღლი
შვილს გაუყიდა დედამ.

და ლუკმაპურის ფასად
გამოეთხოვენ ქარში,
წასვლა უჭირდა ძაღლს და
ცრემლებს ყლაპავდა ბავშვი.

იმ ოთხ სუსხიან ზამთარს
ომმა არ გადაიღო,
ძაღლი მობრუნდა, მაგრამ
შინ აღარავინ იყო...

ნიბლია

თოვს და ქუჩაში გავედი,
ნიბლია ვნახე გარეთ,
მისი ლამაზი თვალები
მაგონებს მე შენს თვალებს.

ქარში ფიფქები მიჰქრიან,
შენ კი თვალებით ბრწყინავ,
შინ შევიყვანე ნიბლია,
გაუთოშია ყინვას.

მე შენზე ფიქრმა დამთოვა,
სად ხარ სუსხიან ღამეს,
ნიბლია სახლში დავტოვე,
მე გამოვვარდი გარეთ.

დაგეძებ, სად არ დაგეძებ,
შენ მენატრები როგორ,
ნიბლიასავით თოვაში,
არ გამეყინო, გოგო!

ცარიელი სკამი

ყველა აქ არი და მაინც კარი,
ჰე, მასპინძელო, დატოვე ღია.
ცარიელია ეს ერთი სკამი
და იქნებ ვინმე მოვიდეს გვიან.



ყველა აქ არი, სიმღერას, ხალისს,
გარედან წვიმა შოლტივით იქნევს
და ნუ დახურავ იმ კარებს მაინც,
რა იცი, ვინმე მოვიდეს იქნებ.

ყველა აქ არი, ჭიქების წკარუნს
გავანდოთ, ვუთხრათ — ვეტრფოდით ვისაც,
ეს გაუმარჯოს პირველ სიყვარულს —
ძველ ჭრილობაში ჩარჩენილ ისარს...

ყველა აქ არი და მაინც კარი,
ჰე, მასპინძელო, დატოვე ღია,
ცარიელია ეს ერთი სკამი
და იქნებ ვინმე მოვიდეს გვიან...

დღეო!..

საღამოს ნუ შემატოვებ,
ნუ გადამცემ ღამეს.
მაგ ჩქერებით, მაგ ტორებით
კვლავ მზეს შემახალე.

სულ მაშფოთე, გამააფთრე
გაბმულ სიტყვის მსგავსად,
ამადუღე, ამაქაფე,
წუთისოფლის ქვასთან.

დღეო, დღეო, შენს აბედზე
ჩამომკარი კვესად,
რომ სიცოცხლე ჩემი წილი —
ერთი პეშვი შევსვა.

ტუჩს შემახმეს ნუშის კოცნა
და ჩხავერის შხეფი,
სიყვარული დამილოცე,
შენ და შენი ღმერთი!

დღეო, დღეო, ხანმოკლეო,
ხანაც უსასრულოვ!..

სიჭაბუკე მესიზმრება

გულო, ჩადექ საგულესა —
კალმახივით ნუ ფართქალებ.
თვალო, მისწვდი ცაში მერცხალს
და სიყვარულს უთვალთვალე.

თუმც სად არი, ვუცდი გზაში,
აბა, რაღას იგვიანებს,
ვით ყინული იძვრის ღარში,
წლები ისე მიგრიალებს.

გელოდები, მოდი მალე,
თორემ ძველი ცეცხლი ქრება.
ვთეთრდები და ყოველღამე
სიჭაბუკე მესიზმრება.

გულო, ჩადექ საგულესა —
კალმახივით ნუ ფართქალებ,
თვალო, მისწვდი ცაში მერცხალს
და სიყვარულს უთვალთვალე.

წუთისოფელი

მომიღერა მწველი დაშნა,
სულიც ლექსმა დაფლითა;
ვარდისფერად ირიჟრაჟა,
ყაყაჩოსფრად დაბინდდა.

მერე ზეცამ მიწის კართან
ჯვარი დასვა მიჯნურთა.
არყისფერად იცისკრა და
ღვინისფერად მიმწუხრდა...

დღეს, 1 ნოემბერს, 19 საათზე, პოეტ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება გამოჩენილი ქართველი პოეტის ოთარ მამფორიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

გთხოვთ, დაესწროთ!

ვანო ჩხიკვაძე

თამადა

(ოთარ მამფორიას)

„მამფი“ ორასწლოვან
ცაცხვებში თამადობს —
მაინც სვამს,
თუმც ცოტას ავადობს.
ბოჰემას ხარკს უხდის
სიცოცხლის ფასად —
იტყვის და ჭიქაზე
იადონს დასვამს.
ვიღაცა შეჰკადრებს:
— ბატონო ოთარ,
ჯანმრთელი რომ ვიყოთ,
ვიკმაროთ ცოტა!..
— გეტყობა ქვიშხეთის
დაგცადა ჰავამ,
შე ფრანგო, მიწაში
ჯანმრთელი ჩავალ?
მატლებს ჩავუტანო
ჯანსაღი ხორცი?! —
ფეხმძიმე საღვინეს
მუცელზე კოცნის...
„მამფი“ ორასწლოვან
ცაცხვებში თამადობს —
მაინც სვამს,
თუმც ცოტას ავადობს.
მტკვარი ტაშისკართან
იცოხნის ნარიყს,
თვალები ევსება
ცრემლით და მთვარით:
— რა დროს ძილი არის,
გვეყოფა იქაც.
აბა, წავუქციოთ
წასულებს ჭიქა!..
ავდგებით, ვტორტმანებთ,
თამადა გვტუქსავს:
— ხომ არ დავაძმარებთ,
ეს ერთი შუშაც...
აღარც ის ღამეა,
აღარც ის მთვარე,
აღარც ის საღვინე,
აღარც ის ბოთლი.
წავიდა, ბოლომდე
აბა, ვინ დალევს —
რა ბევრი გვინდა და,
რა ცოტა გვყოფნის...
ოთარ მამფორია
ახლა იქ თამადობს —
მაინც სვამს,
თუმც ცოტას ავადობს.
სხვაც ბევრი მიადგა
შავეთის კარსა,
შეხვდება, ჭიქაზე
იადონს დასვამს.
არავინ ჩაუვლის
უსალმოდ,
ვინ ეტყვის, გეყოფა,
ნუ სვამო.
უკვე მოხსნილია
,,ემბარგო“ —
მიდი, შეუბერე,
შე ფრანგო.

2001

გმირთა მოედნიდან — სანაპირომდე...

თბილისის მერია გმირთა მოედნიდან ზვიად გამსახურდიას სახელობის სანაპირომდე საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოებს იწყებს.

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, პროექტის მიზანი ქალაქში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და საავტომობილო მოძრაობის განტვირთვაა.

„ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორია ერთ-ერთი რთული სატრანსპორტო კვანძია ქალაქში, რომელიც ხშირად პრობლემას წარმოადგენს გადაადგილების თვალსაზრისით თავისი სივიწროვიდან გამომდინარე. ჩვენ მოვახდინეთ ბენზინგასამართი სადგურების ადგილმონაცვლეობა და გვინდა, რომ დავიწყოთ პროექტი, რომელიც გულისხმობს გზის გაფართოებას, რათა გაიზარდოს ამ მონაკვეთის გამტარუნარიანობა და არსებული პრობლემები გამოსწორდეს. გარდა ამისა, მოწესრიგდება ზებრა გადასასვლელები და ტროტუარი. სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

სამუშაოების ბიუჯეტი, დაახლოებით, 4 მლნ ლარია.

თბილისის ზღვის სანაპირო ზოლი სრულყოფილი დასასვენებელი სივრცე გახდება!

მუნიციპალიტეტის მერია თბილისის ზღვის სანაპირო ზოლის მოწესრიგებას გეგმავს, — განაცხადა დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე და შესაბამისი პროექტის მომზადება-განხორციელება მერის მოადგილეებს — ანდრია ბასილაიასა და ირაკლი ბენდელიანს დაავალა.

მისი თქმით, საჭიროა სანაპირო ზოლის სათანადოდ მოწყობა, რადგან ამჟამად არსებული მდგომარეობა არანაირ სტანდარტს არ შეესაბამება.

„თბილისის ზღვა, წყლის რეზერვუარის დანიშნულების გარდა, მოქალაქეებისთვის დასასვენებელი ზონის ფუნქციასაც ასრულებს. სანაპიროზე ხალხმრავლობა განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში შეინიშნება. შესაბამისად, ცურვისთვის დასაშვებ ზონებში, ზღვისუბნის დასახლების ტერიტორიაზე, საჭიროა სანაპირო ზოლის სათანადოდ მოწყობა, რადგან ამჟამად არსებული მდგომარეობა პრობლემას წარმოადგენს, არანაირ სტანდარტს არ შეესაბამება.

მინდა, დავავალო ჩემს მოადგილეებს, ანდრია ბასილაიასა და ირაკლი ბენდელიანს, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავიწყოთ მუშაობა ამ მიმართულებით, რათა მოეწყოს ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი სივრცე, სადაც ყველა საჭირო შენობა-ნაგებობა იქნება. როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია, იმავე ფორმით და კონცეფციით უნდა მივუდგეთ აღნიშნულ საკითხს და ეს ადგილი გავხადოთ ერთ-ერთი საუკეთესო დასვენებისთვის როგორც ოჯახებისთვის, ისე ახალგაზრდებისთვის“...

მისივე თქმით, მოქალაქეებს ტერიტორიაზე უნდა ჰქონდეს პარკირებისა და სივრცის შესაბამისად გამოყენების შესაძლებლობაც.

„დავიწყოთ პროექტის განხორციელება, რომ მოვაწყოთ ისეთი სივრცე, სადაც ადამიანებს სრულყოფილი განტვირთვის შესაძლებლობა ექნებათ“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

შიგერუ იშიბა – ვინ არის იაპონიის ახალი პრემიერ-მინისტრი?!

მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრიდან, იაპონიას ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს: 67 წლის გამოცდილი პოლიტიკოსი შიგერუ იშიბა, სამურაების შთამომავალი ქრისტიანი. ელიტარულ ოჯახში დაიბადა დედაქალაქ ტოკიოში. დედის პაპა ცნობილი ქრისტიანი მისიონერი და სასულიერო პირი ყოფილა. პაპამისი კი, იაპონიის ერთ-ერთი მხარის გუბერნატორი. მამამისიც სახელმწიფო მოღვაწე იყო.

შიგერუ იშიბა იმ მხარის პრივილიგირებულ სკოლაში სწავლობდა, სადაც მამას გუბერნატორის პოსტი ეკავა. იაპონიის ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებლის, კეიოს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტი დაამთავრა და საბანკო-საფინანსო სექტორში დაიწყო მუშაობა. მამა რომ გარდაეცვალა, მამის ახლო მეგობარმა, ცნობილმა პოლიტიკოსმა, იაპონიის ექს-პრემიერმა კაკუეი ტანაკამ ურჩია, პოლიტიკაში ეცადა ბედი. შიგერუ იშიბას ტანაკას შეთავაზება ჭკუაში დაუჯდა და, მისივე დახმარებით, ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში გაწევრდა. პარტიის პოლიტბიურომ თბილად მიიღო ის, და პარტიის სამდივნოში დააწყებინა მუშაობა. 1986 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს კი, 29 წლის შიგერუ იშიბა იაპონიის პარლამენტის წევრად აირჩიეს. ის იმ დროს ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი იყო. ასე დაიწყო შიგერუ იშიბას ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერა.

პარლამენტში, სხვადასხვა დროს სოფლის მეურნეობისა და თავდაცვის დარგებს ხელმძღვანელობდა. 1993 წელს იაპონიის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს. პარტიაში მეამბოხეს ეძახდნენ, რადგან ძველ ტრადიციებს არ ეთანხმებოდა. ამიტომ, შიგერუ იშიბამ პარტია დატოვა და იაპონიის ახალ შექმნილ განახლების პარტიაში გადავიდა.

ყოფილმა თანაპარტიელებმა მას ეს საქციელი ღალატად ჩაუთვალეს. ოთხი წლის შემდეგ შეგირუ იშიბა მშობლიურ პარტიას ისევ დაუბრუნდა. პარტიის ხელმძღვანელობას, წესით, უკან არ უნდა მიეღო, მაგრამ მამამისის პარტიელმა მეგობრებმა მისი საქციელი გზასაცდენილი შვილის ოჯახში დაბრუნებად მიიჩნიეს და სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტი უბოძეს. კოიძუმის პრემიერ-მინისტრობის დროს შიგერუ იშიბა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს და მალე მინისტრადაც დააწინაურეს.

შიგერუ იშიბა მინისტრობის პირველივე დღიდან ცდილობდა იაპონიის ჯარის მოდერნიზაციასა და ამერიკასთან დაახლოებას. მისი მინისტრობის დროს იაპონიამ კოსმოსში ახალი სადაზვერვო თანამგზავრი გაუშვა და ახალი ამერიკულ-იაპონური ბალისტიკური რაკეტები მიიღო. 2003 წლის ერაყის ომის დროს, შიგერუ-იშიბას ინიციატივით, იაპონიის შეიარაღებულმა ძალებმა, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დასავლეთის უცხოურ სამხედრო მისიაში მიიღო მონაწილეობა. ქვეყნის თავდაცვას, შიგერუ იშიბა, სხვადასხვა პრემიერის დროს, 2007 წლამდე ედგა სათავეში. 2008 წელს ის ისევ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნეს. 2009 წელს საპარლამენტო არჩევნებში იაპონიის დემოკრატიულმა პარტიამ, 13-წლიანი მმართველობის შემდეგ, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია დაამარცხა, რამაც წაგებულ პარტიაში განახლების პროცესს მისცა ბიძგი. შიგერუ იშიბამ არაერთხელ სცადა, პარტიის ლიდერი გამხდარიყო, მაგრამ ვერაფერს გახდა. 2012 წელს, იაპონიის სათავეში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია დაბრუნდა. პარტიის მაშინდელმა ლიდერმა, პრემიერ-მინისტრმა შინძო აბემ შიგერუ იშიბა პარტიის გენერალურ მდივნად დანიშნა. 2014 წელს, მას რეგიონული განვითარების მინისტრის პორტფელი ჩააბარეს. 2024 წლის დასაწისში, იაპონიის პრემიერმა ფუმიო კიშიდამ გამოაცხადა, რომ წლის ბოლოს გადადგომას აპირებდა. მიზეზი, ლიბერალურ-

დემოკრატიული პარტიის კორუფციულ სკანდალში გახვევა და მისი რეიტინგის დაცემა იყო.

პარტიამ ლიდერის პოსტზე არჩევნები გამოაცხადა. წარდგენილი ცხრა კანდიდატიდან, ერთ-ერთი შიგერუ იშიბა იყო. პარტიის ლიდერის პოსტისთვის ეს ჩემი ბოლო ბრძოლაააო, – თქვა! დანარჩენ კანდიდატებს შორის, ორი გავლენიანი პოლიტიკოსი იყო, მათ შორის, ფუმიო კიშიდას კაბინეტის წევრი, ქალბატონი სანაე ტაიკიტი და 43 წლის შინეჯირო კოიძუმი, იაპონიის ყოფილი პრემიერის ძიუნიტირო კოიძუმის შვილი.

ყველა ექსპერტი ამ ორ კანდიდატზე დებდა ფსონს, მაგრამ ამომრჩეველთა უმრავლესობამ შიგერუ იშიბას მისცა ხმა. პირველ ოქტომბერს კი იაპონიის პარლამენტმა იშიბა პრემიერ-მინისტრად აირჩია.

ქვეყნის 65-ე პრემიერს მძიმე საკითხების გადაწყვეტა მოუწევს: პარტიის ავტორიტეტის აღდგენა და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება. შიგერუ იშიბას გუნდის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაა, თუმცა, არა ელიტის გაძლიერების, არამედ, დაბალშემოსავლიანი ოჯახების მხარდაჭერის გზით, რაც მსხვილი კომპანიებისა და მეწარმეებისთვის სასიხარულო სულაც არ არის, რადგან, შიგერუ იშიბას ხედვა ელიტის ინტერესებთან ერთგვარ წინააღმდეგობაშია.

საგარეო პოლიტიკაში, შიგერუ იშიბა აქტიურად უჭერს მხარს NATO-ს აზიური ანალოგის შექმნის იდეას. ის საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში იაპონიის გააქტიურებასა და ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაფართოებას ისახავს მიზნად.

შიგერუ იშიბას სურს, რომ იაპონია არა მხოლოდ რეგიონში, არამედ გლობალურადაც უფრო მეტად იყოს ჩართული უსაფრთხოების საკითხებში. ის, ასევე, მხარს უჭერს ამერიკასთან ურთიერთობის გაძლიერებას. ჩინეთისა და რუსეთის მიმართ მისი დამოკიდებულება საკმაოდ ცივი და პრაგმატულია. ის ჩინეთთან და რუსეთთან ურთიერთობის დალაგებს მომხრეა, თუ ეს ორი ქვეყანა თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის წესებს დაიცავს. ამის საპასუხოდ, რუსეთმა ის სანქცირებულთა სიაში შეიყვანა.

შიგერუ იშიბა აქტიურად უჭერს მხარს ტაივანის დემოკრატიას და მიიჩნევს, რომ, შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში, ტაივანის დასაცავად იაპონია მზად უნდა იყოსო!..

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

თალიბანმა ავღანელ ქალებს ერთმანეთთან საჯაროდ საუბარიც აუკრძალა

თალიბანის სათნოების მინისტრმა ხალიდ ჰანაფიმ ქალებს საჯაროდ საუბარი არა მხოლოდ მამაკაცებთან, არამედ ქალებთანაც აუკრძალა.

როგორც ტელეგრამის არხებზე ვრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ თალიბანის ახალი კანონის ზუსტი დეტალები გაურკვეველია, ქალებს, ფაქტობრივად, ერთმანეთთან საუბარი აეკრძალათ.

ქალებს ასევე ეკრძალებათ ყურანის ხმამაღლა წაკითხვა სხვა ქალების თანდასწრებით. ახალი რეგულაციის თანახმად, სრულწლოვანმა ქალებმა საკუთარი ხმა სხვა ზრდასრულ ქალებს არ უნდა გააგონონ.

ასევე, ქალებს ეზღუდებათ საზოგადოებაში სიმღერა და კითხვა. აკრძალვას იმით ამართლებენ, რომ ქალის ხმა ინტიმურად აღიქმება.

ცნობისთვის: 2021 წლის აგვისტოდან თალიბებმა ავღანეთში ძალაუფლება აიღეს. მას შემდეგ ქვეყანაში ქალებს აეკრძალათ განათლების მიღება, მოგზაურობა მამაკაცის გარეშე, პარკების მონახულება, სპორტული თამაშები და ცურვა. თალიბებმა ასევე გასცეს ბრძანება სილამაზის სალონების, თმის სალონებისა და ქალთა თავშესაფრების დახურვის შესახებ. გაუქმდა კანონი, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას. ქალებს ხშირად სცემენ საჯაროდ და აპატიმრებენ „არაისლამური ქცევისთვის“, რაც შეიძლება მოიაზრებდეს ნებისმიერ რამეს.

გენდერული დისკრიმინაციის გამო თალიბანს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში უკვე უჩივლა ოთხმა ქვეყანამ. ესენია კანადა, ავსტრალია, გერმანია და ნიდერლანდები.

პროგნოზირებენ ნავთობის ფასის კლებას

მსოფლიო ბანკმა გლობალური ნედლეულის საფასო პროგნოზები განაახლა, რომლის თანახმადაც 2025 წელს მსოფლიოში ნავთობის ფასის კლება არის ნავარაუდევი.

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, თუკი წელს ნავთობის მსოფლიო ფასი ბარელზე საშუალოდ 80 დოლარს შეადგენს, 2025 წელს საშუალო ფასი 73 დოლარზე არის პროგნოზირებული. ასევე ფასების კლებას მოელის მსოფლიო ბანკი 2026 წელსაც და ბარელი ნედლი ნავთობის ფასს 2026 წლისთვის 72 დოლარზე პროგნოზირებს.

ფასების შემცირების მიზეზად მსოფლიო ბანკი განმარტავს, რომ მომდევნო წელს გლობალურად ნავთობის ყოველდღიური წარმოება 105 მილიონ ბარელს მიაღწევს, რაც 2024 წლის მოპოვებაზე დღიურად 2 მილიონი ბარელით მეტია. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ნავთობის მოპოვების ყოველდღიური მაჩვენებელი, რაც 105 მილიონი ბარელი იქნება, 1.2 მილიონი ბარელით გადააჭარბებს ნავთობზე ყოველდღიურ მოთხოვნას, რაც ნედლი ნავთობის ფასის 72 დოლარამდე კლების განმაპირობებელი იქნება.

ამასთან, მსოფლიო ბანკს შეფასებული აქვს რამდენიმე ფაქტორი, რომლებსაც 2025-2026 წლებში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ნავთობის გლობალურ ფასებზე, მათ შორისაა ახლო აღმოსავლეთში ვითარების გამწვავება, ასევე მსოფლიოში უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდის ალბათობა, ვიდრე ეს საბაზო სცენარით არის პროგნოზირებული.

ოკუპირებულმა აფხაზეთმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას,
რომელსაც აფხაზური ოპოზიცია ეწინააღმდეგება...

რუსეთის ხელისუფლებამ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობასთან გააფორმა შეთანხმება, რომლითაც რუსულ კომპანიებს დე ფაქტო რესპუბლიკაში საინვესტიციო პროექტების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს.

1 ოქტომბერს მოსკოვმა ოკუპირებულ აფხაზეთს საბიუჯეტო დაფინანსება შეუჩერა, მოთხოვნებს შორის ერთ-ერთი ამ დოკუმენტის ხელმოწერა იყო. აფხაზური ოპოზიცია შეთანხმებას ეწინააღმდეგება და მიიჩნევს, რომ ეს „ოლიგარქიულ ექსპანსიას“ გამოიწვევს.

დოკუმენტს მოსკოვში ხელი მოაწერეს დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკის მინისტრმა კრისტინა ოზგანმა და რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა მაქსიმ რეშეტნიკოვმა.

რუსული უწყების ცნობით, დოკუმენტი, კერძოდ, განსაზღვრავს მხარეების უფლებებს და ვალდებულებებს, ადგენს მხარდაჭერის ნორმებს აფხაზეთში საინვესტიციო საქმიანობით დაკავებული იურიდიული პირებისთვის.

7 ოქტომბერს, აფხაზეთის „პარლამენტში“ რუსი ინვესტორებისთვის პრივილეგიების მინიჭებაზე მსჯელობდნენ. ოპონენტები განხილვაზე არ შეუშვეს. გარეთ დარჩა მედიაც.

„შეთანხმება საშუალებას იძლევა რესპუბლიკის ეკონომიკაში დამატებითი რუსული ინვესტიციების მოსაზიდად და ამით ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის, წარმოების, ტურიზმის, სანატორიუმებისა და დასვენების მიმართულების განვითარებას. დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მისი მოქმედება მიზნად ისახავს დამხმარე ინფრასტრუქტურის – გაზმომარაგების, წყალმომარაგების, გათბობის, ტრანსპორტის, სოციალური და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებას“, – განაცხადა მაქსიმ რეშეტნიკოვმა.

დოკუმენტის კომენტირებისას კრისტინა ოზგანმა თქვა, რომ ინვესტიციები საკვანძო როლს თამაშობს „აფხაზეთის ეკონომიკურ სტაბილურობაში“.

„ბოლო დროს რესპუბლიკაში შეინიშნება მაღალი საინვესტიციო აქტივობა. 4 წლის განმავლობაში, ძირითადი ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა 2,5-ზე მეტჯერ და გადააჭარბა 11 მილიარდ რუბლს. პოზიტიურ დინამიკას ადასტურებს აგრეთვე საშუალო თვიური ხელფასის ზრდა, მშპ-ს ზრდა და ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების გაორმაგება. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვახერხებთ თვისობრივად ახალი მიდგომის დემონსტრირებას – ვამცირებთ სახელმწიფო ინვესტიციების დონეს და ვზრდით კერძო ინვესტიციების დონეს. ეს არის ხარისხობრივი ცვლილებები, რომლებსაც ხელს შეუწყობს მთავრობათაშორისი შეთანხმება, ვინაიდან საუბარია ძალიან დიდ ინვესტიციებზე. ასეთი საინვესტიციო პროექტები ძირეულად შეცვლის რესპუბლიკაში დასაქმების მთლიან სურათს“, – აღნიშნა მან.

ამ დოკუმენტის ძალაში შესვლას ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის საგალდებულო რატიფიცირება სჭირდება.

სევდა ღვთაებრივი მშვენიერებისა

„შანელის“ სახლის ქართული სახეები

მოდა მუდამ ჭირვეული ქალბატონი ბრძანდებოდა ყველა ეპოქასა და ყველა ხალხში, მაგრამ მისი მთავარი ხიბლი მუდამ ქალის მშვენიერება იყო. ბოლო დროს წლის არც ერთი სეზონი არ ჩამთავრდება ისე, რომ მსოფლიო მოდის წამყვანი სახლების პოდიუმებზე ჩვენი ულამაზესი თანამემამულეები, გამორჩეული გარეგნობის ქართველი ქალიშვილები არ გამოჩნდნენ, რაც სავსებით გასაგები სიხარულით გვავსებს. – თუნდაც მატილდა გვარლიანი ვთქვათ „ვიქტორია სეკრეტის“ ახალი ვარსკვლავი!

ამასთან, ვფიქრობთ, ნამდვილად საინტერესოა მოდის სამყაროში „სილამაზის ქართველი დედოფლების“ გამოჩენის ისტორიის გაცნობა, როგორც მას მოდის ცნობილი ისტორიკოსი, პოპულარული ტელეგადაცემის „მოდის დიდი განაჩენის“ ერთ-ერთი შემქმნელი და წლების განმავლობაში წამყვანი ვლადიმერ ვასილიევი გადმოგვცემს.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, პარიზული მოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახლის მეპატრონეს კოკო შანელს რუსეთელმა დიდგვაროვანმა, რუსეთის სამეფო გვარის წარმომადგენელმა მარია რომანოვამ, რომლმაც მასთან მსახურობდა, უთხრა:

– მადამ, ჩვენი სახლის პროდუქცია, მათ შორის მძივის კაბები, ოქრომკედით ნაქარგები, ძვირფასი ბეწვეულით გაწყობილსაყელოიანი ქურქები მოარულ სტილში, სულ მეტად მოთხოვნადი ხდება, იზრდება სხვა პროდუქციის პოპულარობაც და შეკვეთების ოდენობაც მატულობს, ამიტომაც დიდ წარმოებას აუცილებლად სჭირდება კარგი ადმინისტრატორი.

– ამ თანამდებობის შესაფერისი კანდიდატურა ხომ არ გეგულებათ? – უკითხავს მადამ შანელს.

– დიახ, ჩვენთან რუსეთში ძალიან კარგი გენერლები არიან. და მინდა ერთი ასეთი ღირსეული პიროვნება, საქმის ჩინებული ორგანიზატორი გაგაცნოთ. მას თავადი სერგეი კუტუზოვი ჰქვია და იგი ცნობილი ფელდმარშალის მიხეილ კუტუზოვის შვილიშვილია, რომელმაც ბოროდინოს ბრძოლაში ნაპოლეონი დაამარცხა. რევოლუციამდე ეს კაცი ქალაქ იალტის გუბერნატორი გახლდათ.

შანელის სახლის მთავარ ადმინისტრატორად გახდომისთანავე, თავადმა კუტუზოვმა ერთიანად გაუშვა სამსახურიდან ყველა ფრანგი მანეკენი ქალი, რომლებიც, მისი თქმით, პოდიუმზე „მონმარტელი ქათმებივით“ დადიოდნენ და მათ მაგიერ რუსეთელი მოდელები აიყვანა. მათ შორის პირველთა შორის პირველი იყო რუსეთის სამეფო კარის ფრეილინა, შემდეგ მსოფლიოს პირველი ტოპ-მოდელი, ქართველი თავადის ქალი **მერი შერვაშიძე.** ცნობილი ფაქტია, რომ დედოფლის ამალის ეს ჭეშმარიტი მშვენება თავადის ქალი იმდენად მომხიბვლელი ყოფილა, რომ თავად მეფე ნიკოლოზ II-ს მისთვის ასეთი ქათინაური უთქვამს: „თავადის ქალო, უდიდესი ცოდვაა, რომ ასეთი ლამაზი ბრძანდებით!“

თავადის ქალი მერი შერვაშიძე იყო ტანმაღალი, საოცარი აღნაგობის, მაღალყვრიმალიანი, შავთმიანი, გასაოცარი შავი თვალების მქონე ქალი, რომელიც, რევოლუციას გამოქცეული, პარიზში, ცხადია, გარკვეულ ხელმოკლეობას განიცდიდა. სწორედ იმ ხანებში ელისეს მინდვრებზე ერთ-ერთ კაფეში მას შემთხვევით შეხვდა თავადი კუტუზოვი, რომელმაც მას შანელის სახლში სამსახური შესთავაზა. ასე გახდა ქართველი ლამაზმანი შანელის სახლის სახე. ფრანგული მოდის ამ ერთ-ერთი პირველი კანონმდებლის სახედ ქართველი მერი შერვაშიძე 1940 წლამდე რჩებოდა.

მის შემდეგ, შანელის სახლის სახე გახდა ისევ ქართველი თავადის ქალი, ასევე ნატიფი სილამაზით გამორჩეული **რიმა ერისტოვა (ერისთავი).** იგი, ცნობილი მეწარმის, თავად გიგუშა ერისთავის ცოლი გახლდათ. შანელის სახლში მისი სამსახურებრივი მოვალეობა იყო, ახალ-ახალ მოდელებში გამოწყობილი, ყოველდღიურად გამოჩენილიყო პარიზის მაღალი საზოგადოების თავშეყრის ადგილებში – სამხატვრო გამოფენებზე, მოდურ დეფილეებზე, საცხენოსნო რბოლებზე, თეატრალურ თუ საოპერო პრემიერებზე, მეჯლისებზე. ერთი სიტყვით, იგი იყო შანელის სახლის ეგრეთ წოდებული „მფრინავი მოდელი“.

რიმა ერისთავმა შანელის სახლში სამუშაოდ კიდევ ერთი ქართველი მზეთუნახავი, თავადის ქალი **მელიტა ჩოლოყაშვილი** მიიყვანა, რომელსაც მალევე კიდევ ერთი არნახული სილამაზის ქართველი თავადის ქალი **ნინო დადიანი** მოჰყვა. სწორედ ეს ოთხი ქართველი თავადის ქალი, ოთხი კალმით ნახატი ქალბატონი იყო იმ ხანის შანელის სახლის ყველა მოდური ჩვენების ხერხემალი, მთავარი „ანგელოზი“. თუმცა კი ევროპაში მათ რუსეთელებად იხსენიებდნენ, რისი მიზეზი ის იყო, რომ მათ რუსეთის იმპერიის პასპორტები ჰქონდათ, თორემ წმინდა სისხლის „საჯიშე ქართველი ქალები“ ბრძანდებოდნენ.

კოკო შანელი სრულიად ბედნიერად გრძნობდა თავს: მისი საყვარელი იყო ევროპაში სახელგანთქმული დიდგვაროვანი, თავადი კუტუზოვი, მის პროდუქციას რეკლამას უწევდა ოთხი უმშვენიერესი, ასევე დიდგვაროვანი ქართველი თავადის ქალი, რუსეთის დიდი თავადის ქალი ოლგა რომანოვა კი ოქროს ძაფით ნაქარგების ესკიზებს უხატავდა!

სენის ნაპირებზე რუსულ-ქართული ზღაპარიც სწორედ ეს იყო!

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ამის შესახებ ნობელის მშვიდობის პრემიის ნომინანტმა ბესო შენგელიამ მედიაჰოლდინგ „კვირას“ პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა.

„ნობელის მშვიდობის პრემიაზე ჩემი კანდიდატურა კომპლექსური ეკონომიკური პროექტით წარდგა, რომელიც საგანმანათლებლო მხარეს შეავსებს და ასევე საბოლოო ჯამში აინიცირებს ყოველწლიურ საერთაშორისო საოჯახო ფესტივალს – „მსოფლიო მშვიდობის ფორუმს საქართველოში.“

ამ ინიციატივასთან დაკავშირებით მე უკვე მხარდაჭერა მსოფლიო ლიდერებისგან მივიღე. მსოფლიო ლიდერებთან კომუნიკაცია ნობელის

ბესო შენგელია:

დონალდ ტრამპისგან უკვე თანხმობაა, რომ ის საქართველოში დაგეგმილი „მსოფლიო მშვიდობის ფორუმის“ მთავარი საპატიო სტუმარი გახდება

მშვიდობის პრემიის კანდიდატის სტატუსით დავიწყე. ისინი არ თაკილობენ, პირიქით, ინიციატივას დიდი სიამოვნებით და პატივით იჩენენ, რომ ამ საკითხზე მესაუბრონ. კონკრეტულად პედრო სანჩესისგან, ესპანეთის პრემიერ-მინისტრისგან, დიდი მხარდაჭერა გვაქვს და უკვე წერილობით დადასტურებულია, რომ როგორც კი „მსოფლიო მშვიდობის ფორუმის“ თარიღი ჩაინიშნება, ისინი მზად არიან, ოფიციალური დელეგაციით ჩამოვიდნენ, ასევე თავისი ევროპელი პარტნიორების ინფორმირება მოახდინონ, და დაპატიჟონ. თუმცა, ჩვენი მაყურებლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი მესიჯი არის ის, რომ პრეზიდენტ დონალდ ტრამპისგან, რომელიც ყოველგვარი კითხვის გარეშე უახლოეს დღეებში

აშშ-ის პრეზიდენტი გახდება, უკვე არის თანხმობა, რომ ის გახდება მთავარი საპატიო სტუმარი „მსოფლიო მშვიდობის ფორუმისა“, რომელიც საქართველოში ჩატარდება.

ამ ყველაფერზე ჩვენ კომუნიკაცია ქალბატონ კიმბერლი ლოვესთან გვაქვს, რომელიც დონალდ ტრამპის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია. ქალბატონი კიმბერლი ლოვე აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის სენატორობის კანდიდატი, ასევე დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიის გუნდის წევრია. ქალბატონი კიმბერლი მზადყოფნას აცხადებს, რომ უახლოეს დღეებში ქართული ტელევიზიებისგან შემოთავაზება მიიღოს, რათა მან საჯაროდ, ქართველ საზოგადოებას ინტერვიუ მისცეს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში „მსოფლიო მშვიდობის ფორუმის“ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით ისინი დაგვეხმარებიან და დონალდ ტრამპი პირადად იქნება მთავარი საპატიო სტუმარი, რაც უკვე დადასტურებულია“...

კამალა ჰარისი: მტკიცედ ვეწინააღმდეგები ადამიანების კრიტიკას იმის საფუძველზე, თუ ვის აძლევენ ხმას

კამალა ჰარისი ჯო ბაიდენის სკანდალურ განცხადებას ემიჯნება. პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატის თქმით, მოქალაქეების კრიტიკა იმის საფუძველზე, თუ ვის აძლევენ ხმას, მისთვის მიუღებელია.

მანამდე თეთრი სახლის ლიდერმა დონალდ ტრამპის მხარდამჭერებს „ნაგავი“ უწოდა, რის გამოც ის მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა. კრიტიკის შემდეგ მან სოციალურ ქსელში განმარტება გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ სიტყვა „ნაგავი“ გამოიყენა კომიკოს ტონი ჰინჩკლიფთან მიმართებაში, რომელმაც ტრამპის მხარდამჭერ აქციაში მიიღო მონაწილეობა.

◎ ხალიჩაზე

ოქროც, ვერცხლიც!

ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო, ოღონდ არაოლიმპიურ წონებში. საქართველოს ორი ფინალისტი ჰყავდა – ავთანდილ კენჭაძე და მირიან მაისურაძე.

წუხელ კენჭაძემ გრწყინვალედ იასპარეზა და ოქროს მედალი მოიპოვა. მაისურაძე კი, უძლიერეს მეტოქესთან ფინალში ვერცხლს დასჯერდა.

ფინალამდე, 79 კგ წონით კატეგორიაში კენჭაძემ თურქი იბრაჰიმ იაპრაკი 11:0, იაპონელი კოტა ტაკაჰაში 12:1 და ყაზახი დაულეტ ერგეში 10:0 დაამარცხა, რის შედეგადაც ნახევარფინალში გავიდა, სადაც ირანელ მოჰამად ნოხოდილარიმის 14:5 სძლია. ფინალში ქართველის მეტოქე რუსი მაგომედ მაგომაევი იყო.

97 კგ წონით კატეგორიაში მირიან მაისურაძემ ინდოელი სანდიპ მანი 10:0, სლოვაკი გატირბეკ ცაკულოვი 4:2 და იტალიელი ბენჟამინ ჰონისი 9:2 დაამარცხა, ხოლო ფინალში ძალიან ძლიერი მეტოქე ჰყავდა – ორგზის ოლიმპიური რუსი ჩემპიონი აბდულრაშიდ სადულაევი.



◎ აუზში

ბერძნულიც, სერბულიც...

შარშან პირველად მოხდა, რომ თბილისის დინამომ ჩემპიონთა ლიგაში ყველა მატჩი წააგო, ამიტომ არ გაგვკვირვებია, რომ გუნდის სერბი თავკაცი გორან სტანოიევიჩი ბერძენმა სპეციალისტმა საპის კეჩაგიასმა შეცვალა, მაგრამ ჯერჯერობით წამყვანი ქართული კლუბი ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში წლეულსაც უქულოდ თამაშობს.

დინამო – რადნიჩკი 9:10

მასპინძლებს ცდა არ დაუკლიათ ნავსის გასატეხად, თავიდან სოლიდური უპირატესობითაც დაწინაურდნენ – 4:0, 5:1, მაგრამ დრამატულ ფინიშზე ძალები აღარ ეყოთ და მძაფრი ბრძოლა ზედიზედ მესამედ დათმეს. სხვათა შორის, უკანასკნელი შეტევისა და პირველი ქულის მოსაპოვებლად ჩვენებურებს 30 წამი ჰქონდათ დარჩენილი, თუმცა იგი ვერ გამოიყენეს. დავძენთ, რომ სტუმრებს 2-2 გოლი **იმნაიშვილმა, ვაპენსკიმ** და **ჩიქოვანმა** გაუტანეს.

იმავე დღეს სამამულო წყალბურთისათვის მნიშვნელოვანი კიდევ ერთი ფაქტი მოხდა თბილისის ლოკომოტივსა და აღნიშნულ ბალკანურ კლუბს შორის მომავალი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების სახით.

როგორც მოგეხსენებათ, სერბეთი ერთ-ერთი აღიარებული საწყალბურთო გრანდია, ამიტომ ვიმედოვნებთ მათთან გაცვლით პროგრამებში ქართველ ბავშვთა მონაწილეობა და მწვრთნელთა გადამზადება სასიკეთოდ იმოქმედებს ჩვენში სპორტის ფრიად პოპულარული სახეობის განვითარებაზე.

◎ დიეგოს აჩრდილი

ხვიჩამ მილანშიც იკვარაპა

გუნებაში შემთხვევით არაფერი ხდებაო, ტყუილად როდი ამბობენ.

30 ოქტომბერი და დიეგო მარადონას 64-ე დაბადების დღე რომ დადგა, **ხვიჩა კვარაცხელიამ** ერთ-ერთ იშვიათ იტალიურ უიღბლობას დაუსვა წერტილი და სერია – ა-ს მე-10 ტურის ცენტრალურ გასვლით ბრძოლაში პირველი კარიერული გოლი გაუტანა მილანს, თანაც ასევე პირველად – ჯუზეპე მეაცაზე, სადაც 10 ნოემბერს უკვე ინტერთან შეეცდება იმავეს.

ეს გახლდათ კვარას მე-100 მატჩი ნაპოლიში და 30-ე გატანილი გურთი 22 ასისტის წილ, ხოლო წლეულს მე-5 ზუსტი დარტყმა, შეხვედრა კი ანტონიო კონტეს გუნდმა 2:0 მოიგო (ანგარიში ლუკაკუმ გახსნა) და სერია – ა-ში ლიდერის მონაგარმა 25 ქულას უწია.

თუ ობიექტურნი ვიქნებით, ისიც უნდა ვთქვათ, რომ როსონერი ძალიან დააზარალა წინა ტურში უამინდობის გამო ბოლონიასთან შეხვედრის გადადებამ, რადგან თეო ერნანდესსა და ტიჯანი რეინდერსს დისკვალიფიკაცია გადმოყვათ და პრინციპულ მეტოქესთან ვერ ითამაშეს, გაცეგული პულიშიჩი და მწვრთნელ ფონსეკას მიერ ათვალწუნებული ლეაო კი პარტნიორებს ბოლო ნახევარ საათში შეუერთდნენ, მაგრამ ამ დროს მოსახდენი უკვე მომხდარი იყო.

ასეა თუ ისე, კამპანიელები სკუდეტოსკენ მეოთხე ლაშქრობას წარმატებით განაგრძობენ და ზეგ ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს – მრისხანე მესამეადგილოსან ატალანტას უმასპინძლებენ, მილანში მოპოვებულ გამარჯვებას კი ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს მათი მესამე ტრიუმფის შემოქმედი ლუჩანო სპალეტი.

რაც შეეხებათ ნეაპოლელთა მდევრებს, მათგან უახლოესმა მოქმედმა ჩემპიონმა ინტერმა ემპოლიში კარგად ისარგებლა **საბა გოგლიჩიძის** გაძევებით (ამ დროს მსაჯს თავიდან ნაჩვენები ყვითელი ბარათით დაკმაყოფილებაც შეეძლო, მაგრამ ვიდეოგამეორების შემდეგ სასჯელი უფრო გაამკაცრა) და 3:0 გაიმარჯვა, ატალანტამ ასევე დაგეგმილი ქულები შემატა აქტივს მონცასთან – 2:0, ხოლო ჯერაც ერთადერთი წაუგებელი იუვენტუსი შინ კიდევ ერთხელ შეფერხდა პარმასთან – 2:2.

გერმანიის თასი. კარლსრუე – კიკერსი (ოფენბახი) 2:0. (ანგარიში **გუდუ ზივზივაძემ** გახსნა).

◎ ლეგიონერი

სტატისტიკაც უძლურია

21 ქულა, 4 მოხსნა და 2-2 ჩაჭრა-ასისტი სარგებლიანობის კოეფიციენტით 17 – ასეთი დიდოსტატური პირადი მონაგარითაც კი ვერ მოაგებინა თორნიკე შენგელიამ ვირტუსს ევროლიგის რეგულარული სეზონის მე-6 ტურის საშინაო შეხვედრა მიუნხენის ბაიერნთან – 84:87 (მეხუთე მარცხი).

ბოლონიელებმა ჩინებულად დაიწყეს მატჩი ტურნირის ერთ-ერთ ლიდერთან, რომელმაც უკვე მე-5 გამარჯვება მოიპოვა და პირველი პერიოდი 6-ქულიანი უპირატესობით დაასრულეს – 25:19, მაგრამ სტუმართა გერმანელმა თავკაცმა, ჩვენმა ძველმა ნაცნობმა **გორდი ჰერბერტმა,** რომელმაც შარშან გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოახვეჭინა, მალევე შეიტანა კორექტივები რეკორდმაისტერის ტაქტიკურ სქემაში, რაც მეორე მეოთხედის შედეგშიც აისახა – 21:8(!).

მოვლენათა ასეთი საგანგაშო სცენარით განვითარების მიუხედავად, იტალიურმა გრანდმა თანდათან გამოასწორა ვითარება და ძირითადი დროის ამოწურვამდე 2 წუთით ადრე დაწინაურდა კიდეც, უმთავრესად შენგელიას ძალისხმევით, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში დაშვებული ბავშვური შეცდომები საკმაოდ ძვირი დაუჯდა. იმავე დღეს ჩემპიონთა ლიგაში **გიორგი შერმადინი** 10 წუთში მოგროვებული 3 ქულითა და თითო მოხსნა-ასისტით შეეშველა ტენერიფეს სენტ კვენტინის ძლევაში, ხოლო **რატი ანდრონიკაშვილმა** ფიბა ევროპის თასზე 6 ქულითა და 2 ასისტით აღნიშნა რიგის ვეფში დებიუტი ათენის აეკთან წაგებულ მატჩში.

ქართულ ევრომატალიებს ქუთაისისა და სლოვაკური პრიევიძას თბილისურმა ტრილერმა დაუსვა წერტილი, რომელიც მესამე (!) ოვერტაიმში სტუმრებმა მოიგეს – 108:104.

რადგან პირველ წრეში რიონისპირელები გასვლაზე 7 ქულით დამარცხდნენ, მათმა თავკაცმა **კოტე ტუღუშმა** რამდენჯერმე შეგირდებს „უბრალო“ მოგება არ დაანება და შეგნებულად გადააყვანინა თამაში დამატებით დროში, მაგრამ არათუ სასურველ რევანშს ვერ შესწვდა, არამედ საერთაშორისო საკლუბო რეიტინგში ჩვენი ქვეყნისათვის ძვირფასი პუნქტებიც დააკარგვინა.

ასეა თუ ისე, სახეზეა გამოკვეთილი ეგოიზმი და მხოლოდ საკუთარი გუნდის ინტერესებზე ზრუნვა, მაგრამ საერთო საფიქრალიც ხომ უნდა გქონდეს?, მით უმეტეს მაშინ, როცა აღნიშნული ეტაპი წრიული სისტემით ტარდება და შესაძლებელია, მეტოქემ ისეთი გაუთვალისწინებელი მარცხი იწვნიოს, ჩვენ მარტივი გამარჯვებაც გვყოფნოდა.

◎ გვიმრავლოს!

საერთაშორისო სტანდარტების საჩოგბურთო ინფრასტრუქტურა ქუთაისსაც დაამშვენებს

პირველად ქუთაისში, 4 სათამაშო მოედანზე გაკეთდა ჰარდის ტიპის ეკოლოგიური საფარი, კაპიტალურად შეკეთდა ადმინისტრაციული შენობა, შეიცვალა განათების სისტემა.

სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია – რეკონსტრუქციაზე 2 255 711 ლარი დაიხარჯა.

განახლებული კორტები დაათვალიერეს და საწვრთნელ ვარჯიშებს დაესწრნენ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ერემეიშვილი,** პარლამენტარი **ზაზა ლომინაძე,** ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

ქუთაისის ჩოგბურთის კორტების კომპლექსი საერთაშორისო ტურნირების ჩასატარებლად მზად არის.

◎ იმედი

უკვე აღარც გვიკვირს

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ხშირად გვიწევს ანასტასია ჩხარტიშვილის წარმატებებზე საუბარი, რომელიც ქართველ მაგიდის ჩოგბურთელ გოგონათა ახალ ლიდერად გვევლინება.

პერსპექტიულმა ახალგაზრდამ ამჯერადაც გაგვახარა, როცა რიგაში 13 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართული პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ფინალში ლიეტუველი ჩმილიტეს ძლევით გახდა – 3:0.

სად გაგონილა, ნაადრევად, მტკიცებულებების გარეშე ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენება?!

„ქუინსი ინსტიტუტი“ — ყველაზე სანდო მისიის, ეუთო/ოდირის შეფასებით არჩევნების გაყალბება არ მტკიცდება, ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდმა ნაწილმა ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა

ისტორიულად ყველაზე სანდო მონიტორინგის მისიის, ეუთო/ოდირის შეფასებით არჩევნების გაყალბება არ მტკიცდება, ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდმა ნაწილმა ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა, – ამის შესახებ ნათქვამია ვაშინგტონში განთავსებული კვლევითი ორგანიზაციის, „ქუინსი ინსტიტუტის“ მიერ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ მორიგ სტატიაში.

სტატიის ავტორის, ევრაზიის პროგრამის დირექტორის ანატოლ ლივენის მოსაზრებით, საქართველოში ჩატარებული არჩევნებისთვის ნაჩქარევი განაჩენის გამოტანა სამწუხაროა.

სტატიაში ვკითხულობთ, რომ დასავლური მედიის დიდი ნაწილი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ისე წარმოაჩენს, თითქოს მთავრობას მხარდაჭერა საერთოდ არ ჰქონდეს.

ავტორის თქმით, ყველა დასავლური ინსტიტუტი, დასკვნების გაკეთებამდე ეუთო/ოდირის საბოლოო შეფასებას უნდა დაელოდოს. „არჩევნებზე ორი რამ შეიძლება ითქვას – შესაძლოა, ადგილი ჰქონდა საარჩევნო მანიპულაციებს, თუმცა იმისთვის, რომ ლეგიტიმურად შეცვალო ხმების რაოდენობის 53 პროცენტი და 38 პროცენტამდე დაიყვანო, მასობრივი გაყალბების მტკიცებულება გჭირდება“, – ამბობს ლივენი.

სტატიაში ნათქვამია, რომ დასავლეთის მხრიდან გაკეთებულ კომენტარებს, შესაძლოა, მძიმე შედეგები მოჰყვეს არამარტო საქართველოსთვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

„დასავლურ მედიაში საქართველოს შესახებ მოვლენების გაშუქება ძირითადად ქართული ოპოზიციის წევრებთან ჩაწერილ ინტერვიუებზე დაყრდნობით ხდება. ძალიან იშვიათია, მოისმინო იმ მოქალაქეების აზრი და ახსნა-განმარტება, რომლებმაც ხმა მთავრობას მისცეს. ასევე, დასავლეთში ბევრი ჟურნალისტი ფიქრობს (შესაძლოა გაუცნობიერებლადაც), რომ მათ ყურადღებას მხოლოდ პროდასავლურად განწყობილი ქართველები იმსახურებენ“, – წერს სტატიის ავტორი.

მისივე თქმით, შესაძლოა, მთავრობა აზვიადებდეს, როდესაც ამბობს, რომ დასავლეთი და ქართული ოპოზიცია მათ რუსეთთან ახალი ომის დაწყებისკენ უბიძგებენ, თუმცა გაზვიადებული შესაძლოა, არ იყოს მოწოდებები რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე, რაც ქართულ ეკონომიკას დააზიანებს.

„ამასთან, ძალიან უხერხულია, როდესაც ვაშინგტონში, ლონდონსა და ბერლინში უსაფრთხოდ მოკალათებული მაღალანაზღაურებადი დასავლელი კომენტატორები იმთავითვე არალეგიტიმურს და სულელურს უწოდებენ პატარა და ღარიბი ქვეყნის მოქალაქეების შიშებს, რომელიც მათ დიდ და საშიშ მეზობელთან ურთიერთობებს უკავშირდება“, – აღნიშნავს სტატიის ავტორი.

დასკვნით ნაწილში ავტორი ამბობს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მმართველ პარტიას მხარს ორი ფაქტორიდან გამომდინარე უჭერს: სტაბილურობის შენარჩუნება, რუსეთთან კონფრონტაციის თავის არიდება და დასავლეთის ქედმაღლური დირექტივებით გამოწვეული გულისწყრომა, რომელიც ხშირად, ქართულ ეროვნულ ინტერესებსა და ტრადიციებს საერთოდ არ ითვალისწინებს.

„ცუდი იდეაა ადამიანებთან საუბრის დაწყება იმის თქმით, რომ მათ შეხედულებებს შედეგზე გავლენა ვერ ექნება, რადგან ისინი უცოდინარი და გაუნათლებელი რუსული მარიონეტები არიან, რომლებიც წესით იმასაც არ იმსახურებენ, რომ ხმის უფლება ჰქონდეთ“, – ვკითხულობთ სტატიაში.

ავსტრიის პარლამენტის წევრები: საქართველოში საარჩევნო პროცესი მშვიდ გარემოში წარიმართა

ავსტრიის პარლამენტი საქართველოში ჩატარებული არჩევნების შესახებ სადამკვირვებლო მისიის წევრების შეფასებებს აქვეყნებს.

როგორც ავსტრიის რესპუბლიკის პარლამენტის ოფიციალურ **Facebook**-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა პარტიამ – „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, რომელმაც ხმების 54% მიიღო, ხოლო ოპოზიციას შედეგების აღიარება არ სურს.

ინფორმაციის თანახმად, არჩევნებზე მრავალი დამოუკიდებელი სადამკვირვებლო მისია იყო წარმოდგენილი, 500-ზე მეტი დამკვირვებლით.

ეუთოსა და ევროპარლამენტის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაში მონაწილეობა მიიღეს ავსტრიის პარლამენტის წევრებმაც.

ბუნდესრატის წევრის ჰარალდ ჰიმერის განცხადებით, მის სადამკვირვებლო არეალში არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა.

„ცხადია, რომ მე მხოლოდ ჩემს სადამკვირვებლო არეალში არსებულ ვითარებაზე შემიძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია. მე ვერ აღმოვაჩინე ვერცერთი დარღვევა, რომელიც მიმართული იქნებოდა საარჩევნო პროცესის და მისი ტექნიკური მსვლელობის შესაფერხებლად“, – აცხადებს ჰარალდ ჰიმერი.

ბუნდესრატის წევრი კლემენს კოფლერი აღნიშნავს, რომ საარჩევნო პროცესი მშვიდ გარემოში წარიმართა და ამომრჩევლებმა ხმა ყველანაირი ზეწოლის გარეშე მისცეს.

„ჩვენ დავაკვირდით, რომ ამომრჩევლებმა ხმა მისცეს ზეწოლის გარეშე. საარჩევნო კაბინები იყო გამჭვირვალე და კარგად დაცული. გარემო იყო მშვიდობიანი, მე ვერ აღმოვაჩინე დაშინების ან ძალადობის ვერც ერთი ნიშანი,“ – განაცხადა კლემენს კოფლერმა.

ქვეყნის ეკონომიკა და ბიზნესი სიმშვიდეს და სტაბილურ გარემოს ითხოვს



არჩევნების დასრულების შემდეგ ქვეყანაში ვითარება იმაზე უფრო მშვიდია, ვიდრე ეს 26 ოქტომბრამდე ჩანდა. მიუხედავად ამისა, სიტუაციის ესკალაციის მცდელობა და გარკვეული წნეხი მაინც შეიმჩნევა. ბიზნესი კი ახლა სწორედ სიმშვიდეს ითხოვს, რადგან ქვეყნის განვითარების გზა დიდწილად ეკონომიკაზე გადის.

„კატევე ჯგუფის“ დამფუძნებელმა ზურაბ ჩხაიძემ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახლა საქართველოში ბიზნესმენებზე ყოველგვარი წნეხი მოხსნილია.

„როდესაც ქვეყანაში სტაბილური გარემოა, შესაძლებელია, როგორც ბიზნესის განვითარება, ისე სხვადასხვა ინვესტორთან საუბარი და დასაქმებულების რიცხვის ზრდა – ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ აისახება ქვეყნის ბიუჯეტზე“, – განაცხადა ჩხაიძემ და დასძინა, რომ ეკონომიკის განვითარება პირდაპირ არის დაფუძნებული სტაბილურობაზე.

„26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა მყარი პოზიცია დააფიქსირა, რომ ხმას აძლევს მშვიდობას, დემოკრატიასა და თავისუფლებას. იმ ღირებულებებს, რაზედაც დგას ჩვენი ქვეყანა, აფასებს დასავლეთიც და პარტნიორი ქვეყნებიც, რომლებსაც აინტერესებთ, როგორი მომავალი იქნება საქართველოში. ბიზნეს-ჯგუფებს აინტერესებთ ჩვენს რეგიონში შემოსვლა და ისინი ყურადღებით აკვირდებიან, თუ რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს.

დაუკვირდით, 2012 წლიდან როგორი თავისუფალია ბიზნესი. ბიზნესს განვითარება თან ახლავს და, რა თქმა უნდა, მთავრობა უსმენს ბიზნესს“, – აღნიშნა ზურაბ ჩხაიძემ.

მისი შეფასებით, კომპანიების განწყობა არის ის, რომ სტაბილურობის შენარჩუნების ფონზე გააგრძელონ ინვესტიციების განხორციელება საქართველოში.

კიდევ უფრო დადებით შეფასებას აძლევს სახელმწიფოს აღებულ კურსს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ნინა კოზახიძე. მისი აზრით, დღეს საქართველოში ისეთი დონის კომპანიები ოპერირებენ, რომ არავითარ შემთხვევაში, არც ერთი წამით არ უნდა გვქონდეს იმის განცდა, რომ საქართველოს სხვა (არაევროპული) მიმართულებით მიდის.

„ბიზნესისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია სტაბილური გარემო როგორც არჩევნების დღეს, ისე არჩევნების შემდეგ. საქართველო არც ერთ შემთხვევაში რისკის ზონაში არ უნდა აღმოჩნდეს და არ უნდა მოხდეს იმ განვითარების გეზიდან გადახვევა, რომელიც ქვეყანას აქვს აღებული. დიდი იმედი მაქვს, რომ გამარჯვებულიც და დამარცხებულიც გონივრულად გადადგამს ნაბიჯებს, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება და წინსვლა რისკის ქვეშ არ დადგეს. ეს მოლოდინი გვაქვს ბიზნესს.

ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, არ უნდა შევაჩეროთ ის ეკონომიკური განვითარება, რომელშიც მართლაც საოცარი ნაბიჯები გვაქვს გადადგმული და თავის მხრივ, რა თქმა უნდა, გამარჯვებული მხარისგანაც ველოდებით იმ ნაბიჯების გადადგმას, რომელიც ქვეყანას ევროპისკენ წაიყვანს.

სექტორში და არა მხოლოდ სექტორში არც ერთი წამით არ მიგრძნია, რომ ჩვენმა ქვეყანამ ევროპულ კურსს გადაუხვია. ისეთი კანონები, რომლებსაც ასოცირება მოიცავდა, უკვე მზად არის და მთავრობაზე თითქმის გასული პროცესია. ეს სწორედ იმ მიზნისთვის კეთდება, რომ ასოცირების ჩარჩოდან არ ამოვვარდეთ და ყველა რეგულაცია დავაკმაყოფილოთ, რომელიც 2013-14 წლებში ავიღეთ.

ნურავის ექნება განცდა, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ევროპისკენ სვლა კითხვის ნიშნის ქვეშ აქვს დაყენებული. რა თქმა უნდა, ველოდებით, რომ ახალი მოწვევის პარლამენტი სრული სვლით განაგრძობს ამ კანონების მიღებას. გამარჯვებული გუნდის მიმართაც, რა თქმა უნდა, გვაქვს თხოვნა, რომ რაც შეიძლება მალე მოახდინონ ურთიერთობების გადატვირთვა და ქვეყანამ სტატუსის შემდგომი პაკეტი მალე მიიღოს“, – განაცხადა „ბიზნესპარტნიორთან“ ნინა კოზახიძემ.

ბიზნესმენთა ნაწილს კი იმედი აქვს, რომ არჩევნების შემდეგ დასავლეთთან ურთიერთობებში უკუსვლა შეწყდება და დაიწყება ურთიერთობის აღდგენა. როგორც კომპანია „ჩირინას“ დამფუძნებელმა რევაზ ვაშაკიძემ განცხადა, ამას დასჭირდება დრო და ეს პროცესი იქნება ნელი, ვინაიდან ქვეყანა რეპუტაციულად ძალიან დაზიანდა.

„ბოლო ორი წლის განმავლობაში მთავრობისა და პარლამენტის მიერ მიღებული იქნა ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც საქართველოს ევროპისგან და ამერიკისგან აშორებს. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამფინანსებლები არიან საერთაშორისო ბანკები, რომლებშიც აშშ-ის ძირითადი აქციები აქვს და ისინი განსაზღვრავენ ამ პოლიტიკას. ესეც არის დიდი პრობლემა.

რაც შეეხება ევროკავშირს, საქართველოს მოქალაქეებს აქვთ დიდი ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან, მე მხედველობაში მაქვს როგორც ფიზიკური პირები, ასევე, კომპანიები. თუ მოხდა, რომ სავიზო რეჟიმი შეწყდა, ეს საქართველოში დიდ ცვლილებებს გამოიწვევს. მარტო ის კი არ არის პრობლემა, რომ ჩვენი მოსახლეობის ნაწილი უფრო რთულად გაემგზავრება ევროპაში, ევროპაში ახლა არის დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ქართველი.

მე მაინც მინდა ვიყო განწყობილი დადებითად, რომ ეს უკუსვლა შეწყდება. ჩვენი მოლოდინი, რომ ეს ერთ დღეში მოხდება, არ არის. აღდგენა მოხდება ნელ-ნელა, ვინაიდან ჩვენ რეპუტაციულად ძალიან დავზიანდით“, – განაცხადა რევაზ ვაშაკიძემ.

ბეჭა დანელია

ვოლოდიმირ ზელენსკი:
დღეს რუსეთმა საქართველოში გაიმარჯვა!

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოში რუსეთმა გაიმარჯვა, რადგან ქვეყანამ ევროკავშირისკენ მიმავალ გზას რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობა არჩია. ამის შესახებ სახელმწიფოს მეთაურმა სკანდინავიური ქვეყნების წამყვანი მედიის წარმომადგენლებთან ინტერვიუში განაცხადა.

„უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთმა დღეს საქართველოში გაიმარჯვა. ჯერ საქართველოს ნაწილი წაართვა, მერე პოლიტიკა და ხელისუფლება შეცვალა და ახლა ქვეყანაში პრორუსული ხელისუფლებაა, პრორუსული პოზიციებით. პუტინის წინააღმდეგ სანქციები არაა დაწესებული და საქართველოში ბევრი რუსია. მათი არჩევანი რუსეთთან მეგობრობაა, მათი არჩევანია, რომ არ გაწევრდნენ ევროკავშირში. მათ პოლიტიკა შეცვალეს. რუსეთმა დღეს მოიგო. წაართვეს საქართველოს თავისუფლება“..

SOS!

ვიდრე ასე გამომწვევად, უაზროდ „კბენთ“ რუსეთს (იდიოტი მიშა სააკაშვილისა არ იყოს!), დასავლეთის დაკრულზე მოცეკვავე პატარა კლოუნო ზელენსკი, უკრაინის და საქართველოს საშველი არ იქნება! რით ვერ გაიგეთ ეს, თქვე ბრიყვებო და სამშობლოს მოღალატენო!

თურქეთის რესპუბლიკის 101 წლისთავი

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თინათინ რუხაძე თურქეთის რესპუბლიკის დაარსებიდან 101 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებას დაესწრო და პირადად მიულოცა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩს ალი ქაან ორბაის ეს მნიშვნელოვანი დღე.

საზეიმო მიღებას ესწრებოდნენ როგორც ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სხვა მიწვეული სტუმრები.

ღონისძიების სტუმრებმა მოისმინეს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის მიმართვა; ასევე სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა ალი ქაან ორბაიმ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა. შესრულდა თურქეთისა და საქართველოს ჰიმნები.

ჩინეთის უმდიდრესი ადამიანი

ტიკ-ტოკ-ის დამფუძნებელი ჩინეთის უმდიდრესი ადამიანი გახდა. ინფორმაციას უცხოური მედია ავრცელებს.

ჟანგ იმინინგის ქონება ახლა $49.3 მილიარდია, რაც 43%-ით მეტია, ვიდრე 2023 წელს.

ილონ მასკი საკუთარ შვილებსა და მათ დედებს ერთ საოჯახო კომპლექსში დაასახლებს

ილონ მასკმა ტეხასში „საოჯახო კომპლექსის“ აშენება გადაწყვიტა, რომელშიც თავისი 11 შვილის და მათი დედების დასახლებას აპირებს.

The New York Times-ის ინფორმაციით, 53 წლის მილიარდერმა უკვე იყიდა ვილა, რომლის ფართობიც 1 338 კვადრატული მეტრია და გვერდით მდებარე სახლი 6 საძინებლით. ობიექტების საერთო ღირებულება დაახლოებით 35 მილიონ დოლარს შეადგენს. მასკი ამ სახლებში თავის შვილებს და მათ 3 დედას გადაასახლებს, რათა ბავშვებს ერთმანეთთან მეტი კონტაქტი ჰქონდეთ.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ამ ორი სახლის მახლობლად მესამეც არის, რომელშიც პერიოდულად თავად მასკი ცხოვრობს.

„კომპლექსში“ უკვე ცხოვრობს მასკის 3 შვილის დედა, კომპანია **Neuralink**-ის ტოპ-მენეჯერი შივონ ზილისი. მასკის პირველი ცოლი ბიზნესმენს არ ელაპარაკება, თუმცა „კომპლექსში“ ადგილი მისთვისაც არის გათვალისწინებული. წყვილი ერთმანეთს 2008 წელს დაშორდა. მათ 6 შვილი ჰყავთ, თუმცა უფროსი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. კიდევ 3 შვილის დედასთან, მომღერალ გრაიმსთან მასკი ბავშვებზე მეურვეობისთვის სასამართლო დავას აწარმოებს.

მასკმა არაერთხელ განაცხადა, რომ შობადობის შემცირებას დიდ საფრთხედ აღიქვამს და საზოგადოებას მომავალი დემოგრაფიული კოლაფსის შესახებ აფრთხილებს.

დიმიტრის შაბათი

2 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს მიცვალებულთა დღეს, ეკლესია მოიხსენიებს სარწმუნოებითა და სასოებით მიცვალებულთ, ბრძოლის ველზე დაღუპულთ უპატრონო მიცვალებულებს, ასევე პანდემიით გარდაცვლილებს, მართლმადიდებელ ქრისტიანებს.

დიმიტრის შაბათი დიმიტრი დონელის (1389) დროიდან იღებს სათავეს. ცნობილია, რომ ღირსმა სერგი რადონეჟელმა წმინდა მთავრის თანდასწრებით აღასრულა პანაშვიდი კულიკოვოს ბრძოლაში დაღუპული მეომრების სულის საოხად.

ასეთი სახის პანაშვიდი შემდგომში ტრადიციად იქცა და თანდათან წინაპართა მოსახსენებელი დღე გახდა...

დადგინდა, რომ მსახურება ყოველწლიურად უნდა აღესრულებინათ წმიდა დიმიტრი თესალონიკელის ხსენების (8 ნოემბრის) წინა შაბათს, სწორედ ამიტომ ეწოდა „დიმიტრის შაბათი“.

სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II ბრძანებს: „...უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს როგორც ღვთაებრივი, ასევე ადამიანური ენერგია, როცა ეს ენერგია არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, როცა ისინი ერთი მიმართულებით მიდიან, ადამიანი დგას კეთილ გზაზე, დგას ცხოვრების გზაზე და იგი მიდის ღმერთთან, უახლოვდება ღმერთს“.

გიული ლიპარტია

ზაზა ხუციშვილის წარმატება



ჯგუფ „ვაკის პარკის“ სოლისტის, მომღერლის ზაზა ხუციშვილის სიმღერა „უღრუბლო ცას“ ჰოლივუდის მიერ გადაღებულ ფილმში „ალარუმ“ გაუღერდება. ახალ ამერიკულ მძაფრსიუჟეტიან ფილმში მთავარ როლს მსოფლიო ვარსკვლავი სილვესტერ სტალონე ასრულებს.

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7468; ევრო - 2.9759;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5640;
100 რუბლი - 2.8298; თურქული ლირა - 0.0801;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6162;
1000 სომხური დრამი - 7.0958.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ფო. 599(44): sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულია** (599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე **მამუკა ვაშაკიძე** (597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი: **ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი **რუსუდან ქობულია** (577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები: **ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი **შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი **გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი **გიორგი ნადარეიშვილი**

მისამართი: თბილისი. აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა **„კოლორში“** ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 4 ნოემბერს